

# ჯგუფი საქართველოს სახალხო ბანკი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება  
2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული  
წლისათვის

# ჯგუფი საქართველოს სახალხო ბანკი

## სარჩევი

	გვერდი
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე	1
დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	2-3
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის:	
მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიში	4
კონსოლიდირებული ბალანსი	5
კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიში	6
ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიში	7-8
კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები	
1. ორგანიზაცია	9-10
2. წარდგენის საფუძველი	10-11
3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა	11-33
4. წინა პერიოდის შესწორებები და რეკლასიფიკაციები	33-35
5. წმინდა საპროცენტო (ზარალი)/შემოსავალი	36
6. გაუფასურების დანაკარგების და სხვა რეზერვები	37
7. წმინდა მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციებიდან	37
8. საკომისიო შემოსავალი და ხარჯი	38
9. სხვა შემოსავლები, წმინდა	38
10. საოპერაციო ხარჯები	39
11. მოგების გადასახადი	39-40
12. ფული და ფულის ექვივალენტები	41
13. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	41-42
14. კლიენტებზე გაცემული სესხები	42-44
15. გასაყიდად არსებული ინვესტიციები	45
16. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	45
17. ძირითადი საშუალებები	47-48
18. არამატერიალური აქტივები	49
19. სხვა აქტივები	49
20. ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	50
21. კლიენტთა ანგარიშები	50-51
22. სხვა ნასესხები სახსრები	51
23. სხვა ვალდებულებები	52
24. სააქციო კაპიტალი და დამატებით შეტანილი კაპიტალი	52-53
25. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები	53-55
26. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	55-57
27. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება	58
28. რეგულირების საკითხები	58-59
29. ხელმძღვანელობის გეგმები და ბალანსის შედგენის შემდგომი მოვლენები	59-61
30. კაპიტალის მართვა	61
31. რისკის მართვის პოლიტიკა	62-76

## ჯგუფი საქართველოს სახალხო ბანკი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

წინამდებარე ანგარიშგება განიხილება მე-2 და მე-3 გვერდებზე არსებული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნაში აღწერილ დამოუკიდებელ აუდიტორთა ვალდებულებებთან ერთად იმ მიზნით, რათა გამორჩეულ იქნას ხელმძღვანელობისა და დამოუკიდებელ აუდიტორთა პასუხისმგებლობა სააქციო საზოგადოება საქართველოს სახალხო ბანკის ("ბანკი") და მის შვილობილი კომპანიების (ერთობლივად „ჯგუფი“) კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს") შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებული მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არ ივარაუდება, რომ ჯგუფი გააგრძელებს საქმიანობას უახლოეს მომავალში.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ჯგუფში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თადლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებულ იქნა გამოსაშვებად 2009 წლის 9 დეკემბერს.

დირექტორთა საბჭოს სახელით:

აღმასრულებელი თავმჯდომარე და  
მთავარი აღმასრულებელი დირექტორი  
ლადო გურგენიძე  
9 დეკემბერი 2009  
თბილისი, საქართველო

მთავარი ფინანსური დირექტორი

ზურაბ წულაია  
9 დეკემბერი 2009  
თბილისი, საქართველო

## **დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა**

სააქციო საზოგადოება საქართველოს სახალხო ბანკის აქციონერებსა და დირექტორთა საბჭოს:

ჩვენ ჩავატარეთ სს საქართველოს სახალხო ბანკის („ბანკი“) და მისი შვილობილი კომპანიების (ერთობლივად „ჯგუფი“) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებულ ბალანსს 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული მოგება-ზარალის, ფულადი სახსრების მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებულ ანგარიშებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის და ასევე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და სხვა ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოკლე მონახაზს.

### **ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის სათანადო პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას და მოცემულ გარემოებებისათვის შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას.

### **აუდიტორის პასუხისმგებლობა**

ჩვენი პასუხისმგებლობა ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრება ამ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას. არსებული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების შემუშავებისთვის, მაგრამ არა ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე დასკვნის გაკეთების მიზნით, აუდიტორი რისკის შეფასებისას ითვალისწინებს შიდა კონტროლის სისტემებს, რომლებიც საჭიროა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის. აუდიტი ასევე ითვალისწინებს გამოყენებული ბუღალტრული პოლიტიკისა და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული შეფასებების შესაფერისობის შეფასებასა და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას მთლიანობაში.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტისას მოვიპოვეთ აუდიტის დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

### **პირობითი დასკვნის გაცემის საფუძველი**

ჯგუფს არ წარმოუდგენია 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 2,566 ათასი ლარის ოდენობით სხვა ვალდებულებებში შესული სადაზღვევო კონტრაქტების მოთხოვნების რეზერვების გაშიფრვა. შესაბამისად ჩვენ ვერ შევძელით დაგვედგინა ამ რეზერვების თანხების სისწორე და საკმარისობა 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და სხვა შემოსავლებში შემავალი სადაზღვევო კონტრაქტების მოთხოვნების რეზერვების ცვლილებებისა და მოგების გადასახადის ხარჯის ეფექტის თანხების სისწორე ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის.

### **დასკვნა**

ჩვენი მოსაზრებით, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ზემოთ განხილული პირობითი დასკვნის გაცემის აბზაცში ნახსენები საკითხების გააღწევის გათვალისწინების გარეშე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს, ყველა არსებით ასპექტში, ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

### **საყურადღებო საკითხი**

დასკვნის შემდგომი კვალიფიცირების გარეშე, ყურადღება გვინდა გავამახვილოთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების 29-ე შენიშვნაზე, სადაც განხილულია ბალანსის შედგენის შემდგომი მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც მოიცავს ცვლილებებს ჯგუფის მფლობელებში და სტრუქტურაში და კონსოლიდირებული შეიღობილი კომპანიის სს სახალხო დაზღვევის კომპანიის გაყიდვას.

როგორც განხილულია მე-4 შენიშვნაში 2007 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შესწორდა.

9 დეკემბერი 2009

თბილისი, საქართველო

**ჯგუფი საქართველოს სახალხო ბანკი**

**მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიში**  
**2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**  
*(ათასობით ქართულ ლარში)*

	შენიშვნა	2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2007 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (შესწორებული)
საპროცენტო შემოსავალი	5, 26	32,580	15,425
საპროცენტო ხარჯი	5, 26	<u>(16,580)</u>	<u>(4,553)</u>
წმინდა საპროცენტო შემოსავალი საპროცენტო შემოსავლის მქონე აქტივების გაუფასურების დანაკარგების რეზერვის ხარჯამდე		16,000	10,872
საპროცენტო შემოსავლების მქონე აქტივების გაუფასურების დანაკარგების რეზერვის ხარჯი	6, 26	<u>(27,864)</u>	<u>(8,286)</u>
წმინდა საპროცენტო (ზარალი)/შემოსავალი		<u>(11,864)</u>	<u>2,586</u>
წმინდა მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციებიდან	7	460	1,495
საკომისიო შემოსავალი	8	29,419	28,178
საკომისიო ხარჯი	8	(1,340)	(788)
სხვა გარიგებებზე გაუფასურების დანაკარგების რეზერვის ხარჯი	6	(5,099)	(352)
სხვა შემოსავლები, წმინდა	9	<u>11,177</u>	<u>10,092</u>
წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი		34,617	38,625
საოპერაციო შემოსავალი		22,753	41,211
საოპერაციო ხარჯები	10, 26	<u>(77,195)</u>	<u>(38,803)</u>
(ზარალი)/მოგება მკაფშირე საწარმოების შედეგებში წილის ბათვილისწინებაამდე		(54,442)	2,408
წილი მკაფშირე საწარმოების შედეგებში	16	<u>104</u>	<u>(9)</u>
(ზარალი)/მოგება მოგების ბალანსხალამდე		(54,338)	2,399
მოგების ბალანსხალის სარგებელი	11	<u>8,641</u>	<u>176</u>
წმინდა (ზარალი)/მოგება		<u>(45,697)</u>	<u>2,575</u>
განკუთვნილია:			
ბანკის აქციონერებისთვის		(45,491)	2,421
უმცირესობის წილი		<u>(206)</u>	<u>154</u>
		<u>(45,697)</u>	<u>2,575</u>

დირექტორთა საბჭოს სახელით:

აღმასრულებელი თავმჯდომარე და  
 მთავარი აღმასრულებელი დირექტორი  
 ლადო გურგენიძე  
 9 დეკემბერი 2009  
 თბილისი, საქართველო

მთავარი ფინანსური  
 დირექტორი  
 ზურაბ წულაია  
 9 დეკემბერი 2009  
 თბილისი, საქართველო

9-74 გვერდებზე მოცემული შენიშვნები შეადგენს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს.

# ჯგუფი საქართველოს სახალხო ბანკი

კონსოლიდირებული ბალანსი  
2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
(ათასობით ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2008	31 დეკემბერი 2007 (შესწორებული)
<b>აქტივები:</b>			
ფული და ფულის ექვივალენტები	12	57,069	33,988
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	13	3,729	18,246
კლიენტებზე გაცემული სესხები	14, 26	109,286	113,592
გასაყიდად არსებული ინვესტიციები	15	7,761	881
ინვესტიციები მიკავშირე საწარმოებში	16	893	789
ძირითადი საშუალებები	17	98,655	93,524
მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივები		630	636
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივები	11	1,149	-
არამატერიალური აქტივები	18	3,540	2,762
სხვა აქტივები	19	35,519	18,645
<b>სულ აქტივები</b>		<b>318,231</b>	<b>283,063</b>
<b>ვალდებულებები და აქციონერთა კაპიტალი</b>			
<b>ვალდებულებები:</b>			
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	20	52,355	2,977
კლიენტთა ანგარიშები	21, 26	181,452	200,887
სხვა ნასესხები სახსრები	22	29,806	-
მოგების გადასახადის მიმდინარე ვალდებულებები		1,451	1,294
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები	11	-	8,087
სხვა ვალდებულებები	23	38,408	9,152
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>303,472</b>	<b>222,397</b>
<b>კაპიტალი:</b>			
სააქციო კაპიტალი	24	15,721	15,521
გამოსყიდული აქციები	24	(355)	(500)
დამატებით შეტანილი კაპიტალი	24	8,437	8,200
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		36,707	37,499
დაგროვილი ზარალი		(45,725)	(234)
<b>კაპიტალის მფლობელებისათვის ბანკუთხვლი მთლიანი კაპიტალი</b>		<b>14,785</b>	<b>60,486</b>
<b>უმცირესობის წილი</b>		<b>(26)</b>	<b>180</b>
<b>სულ კაპიტალი</b>		<b>14,759</b>	<b>60,666</b>
<b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>		<b>318,231</b>	<b>283,063</b>

დირექტორთა საბჭოს სახელით:

აღმასრულებელი თავმჯდომარე და  
მთავარი აღმასრულებელი დირექტორი  
ლადო გურგენიძე  
9 დეკემბერი 2009  
თბილისი, საქართველო

მთავარი ფინანსური  
დირექტორი  
ზურაბ წულაია  
9 დეკემბერი 2009  
თბილისი, საქართველო

9-74 გვერდებზე მოცემული შენიშვნები შეადგენს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

# ჯგუფი საქართველოს სახალხო ბანკი

## კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიში 2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ათასობით ქართულ ლარში)

	შენიშვნა	სააქციო კაპიტალი	გამოსყიდული აქციები	დამატებითი შეტანილი კაპიტალი	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	დაგროვილი ზარალი	მფლობელებისათვის განკუთვნილი მთლიანი კაპიტალი	უმცირესობის წილი	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2006 (შესწორებამდე)		12,000	-	-	14,049	(1,302)	24,747	492	25,239
შპს რუსთავის ცენტრალური ხალხის კუთვნილი ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის გასწორება		-	-	-	171	-	171	-	171
შპს რუსთავის ცენტრალური ხალხის წმინდა აქციების შეძენის ღირებულებაზე სამართლიანი ღირებულების შესწორება		-	-	-	-	4	4	-	4
<b>31 დეკემბერი 2006 (შესწორებული)</b>		<b>12,000</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>14,220</b>	<b>(1,298)</b>	<b>24,922</b>	<b>492</b>	<b>25,414</b>
სააქციო კაპიტალის ზრდა	24	3,521	-	10,130	-	-	13,651	-	13,651
მიწის და შენობების გადაფასების ნამატი, გამოკლებული გადავადებული მოგების გადასახადი 3,975 ათასი ლარის ოდენობით და გადაფასების ზრდა 352 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშში ამავე შენობების მოგება-ზარალის ანგარიშში წინა აღიარებული გადაფასების კლების გამოსაქვითად, აგრეთვე ელიმინირებული ცვეთა 1,526 ათასი ლარის ოდენობით	17	-	-	-	22,526	-	22,526	(466)	22,060
მოგების გადასახადის განაკვეთის ცვლილების ეფექტი მიწისა და შენობების გადაფასების რეზერვზე	4	-	-	-	753	-	753	-	753
გაცხადებული დივიდენდები		-	-	-	-	(1,357)	(1,357)	-	(1,357)
საკუთარი აქციების გამოსყიდვა		-	(500)	(1930)	-	-	(2,430)	-	(2,430)
წმინდა მოგება		-	-	-	-	2,421	2,421	154	2,575
<b>31 დეკემბერი 2007 (შესწორებული)</b>		<b>15,521</b>	<b>(500)</b>	<b>8,200</b>	<b>37,4</b>	<b>(234)</b>	<b>60,486</b>	<b>180</b>	<b>60,666</b>
სააქციო კაპიტალის ზრდა	24	200	-	(200)	-	-	-	-	-
ნამოფასების ზარალი წინა გადაფასებულ მიწასა და შენობებზე, გამოკლებული გადავადებული მოგების გადასახადი 140 ათასი ლარის ოდენობით და მოგება-ზარალის ანგარიშში აღიარებული გადაფასების კლება 6,126 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც ქვითავს გადაფასების ზრდას წინა აღიარებულ მოგება-ზარალის ანგარიშში, აგრეთვე ელიმინირებული ცვეთა 1,925 ათასი ლარის ოდენობით	17	-	-	-	(792)	-	(792)	-	(792)
გამოსყიდული აქციების გაყიდვა		-	145	437	-	-	582	-	582
წმინდა ზარალი		-	-	-	-	(45,491)	(45,491)	(206)	(45,697)
<b>31 დეკემბერი 2008</b>		<b>15,721</b>	<b>(355)</b>	<b>8,437</b>	<b>36,707</b>	<b>(45,725)</b>	<b>14,785</b>	<b>(26)</b>	<b>14,759</b>

ღირებულებების საბჭოს სახელით:

აღმასრულებელი თავმჯდომარე და  
მთავარი აღმასრულებელი დირექტორი  
ლადო გურგენიძე  
9 დეკემბერი 2009  
თბილისი, საქართველო

მთავარი ფინანსური  
დირექტორი  
ზურაბ წულაია  
9 დეკემბერი 2009  
თბილისი, საქართველო

9-74 გვერდებზე მოცემული შენიშვნები შეადგენს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს..



# ჯგუფი საქართველოს სახალხო ბანკი

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიში  
 2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
 (ათასობით ქართულ ლარში)

შენიშვნა	2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2007 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (შესწორებული)
<b>ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან:</b>		
მიღებული საპროცენტო შემოსავალი	29,678	14,334
გადახდილი საპროცენტო ხარჯი	(15,151)	(2,285)
მიღებული საკომისიო შემოსავალი	29,419	28,178
გადახდილი საკომისიო ხარჯი	(1,340)	(788)
რეალიზებული მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციებიდან	3,517	1,575
სხვა მიღებული საოპერაციო შემოსავლები	9,732	7,778
გადახდილი საოპერაციო ხარჯები	(51,146)	(32,721)
<b>ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან, საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე</b>	<b>4,709</b>	<b>16,071</b>
ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:		
საოპერაციო აქტივების (ზრდა)/კლება:		
მინიმალური სავალდებულო რეზერვი საქართველოს ეროვნულ ბანკში	4,416	(2,000)
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	(417)	(15,490)
კლიენტებზე გაცემული სესხები	(7,812)	(84,107)
სხვა აქტივები	(15,027)	(6,933)
საოპერაციო ვალდებულებების ზრდა/(კლება):		
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	49,314	(6,325)
კლიენტთა ანგარიშები	(19,857)	118,193
სხვა ვალდებულებები	18,571	2,407
<b>ფულადი სახსრების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან მოგების გადასახადამდე</b>	<b>33,897</b>	<b>21,816</b>
მოგების გადასახადის გადახდა	(292)	-
<b>წმინდა ფულადი სახსრების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან</b>	<b>33,605</b>	<b>21,816</b>
<b>ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან:</b>		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	(27,168)	(32,572)
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაყიდვა	647	2,481
გასაყიდად არსებული ინვესტიციების შეძენა	(7,644)	(119)
მეკავშირე საწარმოების წილის შეძენა	-	798
მიღებული დივიდენდები	-	235
<b>ფულადი სახსრების წმინდა გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან</b>	<b>(34,165)</b>	<b>(29,177)</b>

## ჯგუფი საქართველოს სახალხო ბანკი

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიში  
 2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაბრკელება)  
 (ათასობით ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2007 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (შესწორებული)
<b>ფულადი სახსრების მოძრაობა საფინანსო საშენობიდან:</b>			
სააქციო კაპიტალის ზრდა		-	3,521
საკუთარი აქციების გაყიდვა/(შესყიდვა)		145	(500)
დამატებით შეტანილი კაპიტალის ზრდა		437	8,200
სხვა ნასესხები სახსრები		29,173	-
გადახდილი დივიდენდები		-	(3,218)
		<hr/>	<hr/>
ფულადი სახსრების წმინდა შემოდინება საფინანსო საშენობიდან		29,755	8,003
<i>უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი</i>		<hr/> (3,057) <hr/>	<hr/> (80) <hr/>
ფულისა და ფულის ექვივალენტების წმინდა ზრდა		26,138	562
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	12	<hr/> 33,988 <hr/>	<hr/> 33,506 <hr/>
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	12	<hr/> <hr/> 57,069 <hr/> <hr/>	<hr/> <hr/> 33,988 <hr/> <hr/>

დირექტორთა საბჭოს სახელით:

აღმასრულებელი თავმჯდომარე და  
 მთავარი აღმასრულებელი დირექტორი  
 ლადო გურგენიძე  
 9 დეკემბერი 2009  
 თბილისი, საქართველო

მთავარი ფინანსური  
 დირექტორი  
 ზურაბ წულაია  
 9 დეკემბერი 2009  
 თბილისი, საქართველო

9-74 გვერდებზე მოცემული შენიშვნები შეადგენს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს.

# ჯგუფი საქართველოს სახალხო ბანკი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები  
 2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
 (ათასობით ქართულ ლარში)

## 1. ორგანიზაცია

სააქციო საზოგადოება „საქართველოს სახალხო ბანკი“ („ბანკი“) ჩამოყალიბდა სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ბანკი „აგრომრეწვბანკის“ ბაზაზე. საქართველოს მინისტრთა კაბინეტის მიერ 1993 წლის 14 აპრილს მიღებული №288 ბრძანებულების და საქართველოს პრეზიდენტის 1994 წლის 29 მაისის № 178 განკარგულების საფუძველზე სახელმწიფო მფლობელობაში მყოფი ბანკები და კომპანიები გარდაიქმნენ სააქციო საზოგადოებებად. ბანკი საკუთარ საქმიანობას ახორციელებს 1993 წლის 10 თებერვალს საქართველოს ეროვნული ბანკისაგან მიღებული საბანკო საქმიანობის გენერალური საბანკო და უცხოური ვალუტით ვაჭრობის ლიცენზიების საფუძველზე.

ბანკი იღებს დეპოზიტებს და გასცემს სესხებს, ახორციელებს გადარიცხვებს საქართველოში და საზღვარგარეთ, აწარმოებს ვალუტების გაცვლას და კომერციულ მომსახურებას, საინვესტიციო და სადაზღვევო მომსახურებას როგორც კომერციული, ასევე საცალო მომსახურებისათვის. მისი სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში, ასევე გააჩნია 184 (2007 - 182) ფილიალი და პაეილიონი საქართველოს ტერიტორიაზე. ბანკის რეგისტრირებული იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი 0162, ჭავჭავაძის გამზ. №74.

2008 და 2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგი აქციონერები ფლობდნენ აქციათა 1%-ზე მეტს. სხვა აქციონერები ინდივიდუალურად ფლობდნენ აქციათა 1%-ზე ნაკლებს.

აქციონერები	2008 წილი, %	2007 წილი, %
ჯინჯარაძე ირინა	25%	25%
შპს “სტარკოდ რესორსეს” (ინგლისი)	20%	21%
კოვალენკო ელენა	20%	21%
აგურევა ანა	7%	8%
მარშანია თამარ	6%	6%
მარშანია გაიოზი	1%	2%
გოგუაძე გიორგი	-	9%
სხვა აქციონერები (ინდივიდუალურად ფლობენ არაუმეტეს 1%-ისა)	21%	8%
<b>სულ</b>	<b>100%</b>	<b>100%</b>

ბანკი წარმოადგენს საბანკო ჯგუფის („ჯგუფი“) დამფუძნებელ კომპანიას, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებაში კონსოლიდირებულ შემდეგ საწარმოებს:

სახელი	საქმიანობის აღგილი	ბანკის წილი		ოპერაციის ტიპი
		2008	2007	
სს სახალხო სადაზღვევო კომპანია	საქართველო	100%	100%	დაზღვევა
შპს რეალ ისთეით დეველოპმენტ	საქართველო	100%	100%	უძრავი ქონება
შპს სახალხო ფოსტა	საქართველო	100%	100%	ფოსტა
შპს ფაბლიკ ინვესტმენტ მენეჯმენტ	საქართველო			საბროკერო მომსახურება
ქამფანი		100%	100%	
სს საქალაქმშენპროექტი	საქართველო	98%	98%	არქიტექტურული დიზაინის მომსახურება და იჯარა
შპს სოციალური სახლი	საქართველო	100%	-	სამედიცინო მომსახურება
შპს რუსთავის ცენტრალური საღარო	საქართველო	100%	100%	არ ფუნქციონირებს

## **ჯგუფი საქართველოს სახალხო ბანკი**

**კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები**  
**2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის**  
*(ათასობით ქართულ ლარში)*

---

### **1. ორბანიზაცია (ბაზრქმეება)**

სს სახალხო დაზღვევის კომპანია დაარსდა 2004 წლის 4 თებერვალს. კომპანიის ძირითად საქმიანობას სადაზღვევო მომსახურების უზრუნველყოფა წარმოადგენს. კომპანია ფლობს 2006 წლის 13 ოქტომბრით დათარიღებულ სადაზღვევო ლიცენზია №004/2-ს და 2006 წლის 13 ოქტომბრით დათარიღებულ სიცოცხლის დაზღვევის ლიცენზია №002/1-ს, რომელიც გაიცა საქართველოს დაზღვევის რეგულირების დეპარტამენტის მიერ. დაზღვევის კომპანია ბანკმა შეისყიდა 2005 წელს. ჯგუფმა კომპანია გაყიდა 2009 წლის 14 მაისს (შენიშვნა 29).

შპს რეალ ისთით დეველოპმენტი დაარსდა 2005 წლის 18 ნოემბერს თბილისის საგადასახადო ინსპექციის №1422/006 ბრძანების საფუძველზე. კომპანიას ბანკი ფლობდა რეგისტრაციის თარიღიდან. ძირითად საქმიანობას ავტობუსების გაჩერებებზე კომერციული ფართების ღიზინგი წარმოადგენს.

შპს სახალხო ფოსტა დაარსდა 2005 წლის 27 სექტემბერს. კომპანიას ბანკი ფლობდა გაერთიანების თარიღიდან. ძირითად საქმიანობას საფოსტო და საკურიერო მომსახურება წარმოადგენს.

შპს ფაბლიკ ინვესტმენტ მენეჯმენტ ქამფანი დაარსდა 2006 წლის 31 ივლისს თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ გაცემული №205168833 ბრძანების საფუძველზე. კომპანია ფლობს 2006 წლის 13 სექტემბრით დათარიღებულ საბროკერო ლიცენზია №129-ს, რომელიც გადასცა საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნულმა კომისიამ. კომპანიის ძირითად საქმიანობას ადგილობრივ საფონდო ბირჟაზე საბროკერო ოპერაციები წარმოადგენს. კომპანიას ბანკი ფლობდა რეგისტრაციის თარიღიდან.

სს საქქალაქმშენპროექტი ჯგუფმა 2005 წელს შეისყიდა. კომპანიის ძირითად საქმიანობას არქიტექტურული პროექტირება და მასთან დაკავშირებული სხვა მომსახურებები წარმოადგენს.

შპს სოციალური სახლი ბანკმა დააარსა სახალხო დაზღვევასთან ერთად. საწარმო წარმოადგენს პოლიკლინიკების ქსელს, რომელიც სხვადასხვა სამედიცინო მომსახურებას სთავაზობს დაზღვეულ მოქალაქეებს.

შპს რუსთავის ცენტრალური სალარო ბანკმა 2004 წელს შეისყიდა. კომპანია ფლობს მიწასა და შენობებს და არ მუშაობს 2005 წლის შემდეგ.

ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებულ იქნა გამოსაშვებად 2009 წლის 9 დეკემბერს.

### **2. წარდგენის საფუძველი**

#### **ზოგადი ინფორმაცია**

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შედგენილია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ფასსს) მიერ დადგენილი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (“ფასს”) შესაბამისად და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციის საერთაშორისო კომიტეტის (ფაისკ) მიერ გამოცემული ინტერპრეტაციების შესაბამისად.

## **ჯგუფი საქართველოს სახალხო ბანკი**

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები  
2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათასობით ქართულ ლარში)

---

### **2. წარდგენის საფუძველი (ბაბრქელვა)**

ამ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხების ფულადი ერთეულია – ათასი ქართული ლარი, თუ სხვა რამ არ არის მითითებული. ს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდისა და ისტორიული ღირებულების პრინციპის საფუძველზე, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულებით წარდგენისა, და მიწისა და შენობებისა, რომლებიც ასახულია გადაფასებული ღირებულებით.

ბანკი და მისი შვილობილი კომპანიები ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებენ ფასს-თან შესაბამისობაში. ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბანკის და მისი შვილობილი კომპანიების ბუღალტრულ ჩანაწერებზე დაყრდნობით.

### **ფუნქციონალური ვალუტა**

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფუნქციონალური ვალუტაა – ქართული ლარი.

### **3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა**

#### **კონსოლიდაციის საფუძველი**

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ბანკის და ბანკის მიერ კონტროლირებადი (შვილობილი) კომპანიების ანგარიშგებებს, რომლებიც დგება ყოველი წლის 31 დეკემბერს. კონტროლი გულისხმობს სიტუაციას, როდესაც ჯგუფს შეუძლია მართოს კომპანიის ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკა ისე, რომ მიიღოს სარგებელი ამ კომპანიის საქმიანობიდან.

საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგებები, რათა საბუღალტრო პოლიტიკა შესაბამისობაში იყოს ჯგუფის მიერ გამოყენებულ პოლიტიკასთან.

ჯგუფის წევრებს შორის არსებული ყველა მნიშვნელოვანი გარიგებები, ნაშთები, შემოსავლები და ხარჯები იქვეითება კონსოლიდაციის დროს.

#### **ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში**

მეკავშირე საწარმო წარმოადგენს საწარმოს, რომელზეც ჯგუფს გააჩნია მნიშვნელოვანი ზეგავლენის უფლება, თუმცა არ წარმოადგენს არც შვილობილ და არც ერთობლივ საწარმოს. მნიშვნელოვანი გავლენა გულისხმობს ინვესტირების ობიექტის ფინანსურ და საოპერაციო პოლიტიკასთან მიმართებაში გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობას და არა პოლიტიკების კონტროლს, ან ერთობლივ კონტროლს. მეკავშირე საწარმოების საქმიანობის შედეგები, აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულია კაპიტალ-მეთოდის გამოყენებით. კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მეკავშირე საწარმოებში ინვესტიციების ასახვა ხორციელდება ღირებულებით და შემდგომ ღირებულების კორექტირებით შესყიდვის შემდგომ მეკავშირე საწარმოს წმინდა აქტივებში ჯგუფის ხვედრითი წილის ცვლილების შესაბამისად და ინდივიდუალური ინვესტიციის გაუფასურების გამოკლებით. მეკავშირე საწარმოების ზარალი რომელიც აღემატება ჯგუფის ხვედრით წილს, არ ექვემდებარება აღიარებას.

## ჯგუფი საქართველოს სახალხო ბანკი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები  
2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათასობით ქართულ ლარში)

---

### 3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა (გაბრძელება)

მეკავშირე საწარმოს შესყიდვის ღირებულების მეტობა ჯგუფის წილზე შესყიდვის თარიღის მდგომარეობით მეკავშირე საწარმოს აღრიცხვადი აქტივების, ვალდებულებების და პირობითი ვალდებულებების სამართლიან ღირებულებაში აღირიცხება როგორც გუდვილი. გუდვილი შედის ინვესტიციის საბალანსო ღირებულებაში და ფასდება გაუფასურების დასადგენად როგორც ინვესტიციის ნაწილი. მეკავშირე საწარმოს შესყიდვის ღირებულების ნაკლებობა აღრიცხვადი აქტივების, ვალდებულებების და პირობითი ვალდებულებების სამართლიან ღირებულებაში ჯგუფის წილთან შედარებით, აღირიცხება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშში ინვესტიციის შესყიდვის პერიოდში.

როდესაც ჯგუფი მის მეკავშირე საწარმოსთან აწარმოებს ოპერაციებს, მოგება და ზარალი შემცირებას ექვემდებარება მეკავშირე საწარმოში ჯგუფის წილის შესაბამისად.

### ფინანსური აქტივები

#### *თავდაპირველი აღიარება*

ბასს 39-ის სტანდარტის შესაბამისად, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, ან სესხებად და მოთხოვნებად, ვადამდე ფლობილ ფასიან ქაღალდებად, ან გასაყიდად არსებულ ფინანსურ აქტივებად. ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარებისას, მათი აღრიცხვა ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯები მხოლოდ იმ ინვესტიციებისათვის, რომლებიც არ აისახება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ბანკი განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარების შემდგომ და შესაბამისად გარკვეულ შემთხვევებში შეუძლია მოახდინოს ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაცია.

#### *აღიარების თარიღი*

როგორც წესი, ფინანსური აქტივების გაყიდვებისა და შესყიდვების აღიარება ხდება სავაჭრო ოპერაციის დღეს, ანუ იმ თარიღით, როდესაც ჯგუფი შეისყიდის აქტივს. ჩვეულებრივ, ფინანსური აქტივების შესყიდვა და გაყიდვა ისეთი ოპერაციებია, რომლებიც მოითხოვენ აქტივის მიტანას დანიშნულების პუნქტამდე კანონმდებლობით თუ საბაზრო პირობებით რეგულირებად პერიოდში.

#### *ერთი დღის მოგება*

როცა გარიგების ფასი არააქტიურ ბაზარზე განსხვავდება სამართლიანი ღირებულებისგან და განსხვავება დაფიქსირებულია სხვა მსგავსი ბაზრების გარიგებებზეც, ან შეფასების ტექნიკა დამყარებულია დაკავშირებული ბაზრის ცვლადზე, ჯგუფი დაუყოვნებლივ აღიარებს ცვლილებას გარიგების ფასსა და სამართლიან ღირებულებას შორის (1 დღის მოგება), რომელიც აისახება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშში. იმ შემთხვევაში, თუ გამოყენებულია მონაცემი, რომელიც დაკვირვებას არ ექვემდებარება, განსხვავება გარიგების ფასსა და სამართლიან ღირებულებას შორის მხოლოდ იმ შემთხვევაში აისახება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშში, თუ ინსტრუმენტი დაკვირვებადი გახდება, წინააღმდეგ შემთხვევაში აღიარება არ ხდება.

## ჯგუფი საქართველოს სახალხო ბანკი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შინაგანი  
2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათასობით ქართულ ლარში)

### 3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა (გაგრძელება)

#### *ვადამდე ფლობილი ინვესტიციები*

ფინანსური აქტივები, რომლებიც არ წარმოადგენენ წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს და გააჩნიათ ფიქსირებული ან განსაზღვრადი დაფარვების გრაფიკი და ფიქსირებული ვადა, კლასიფიცირდება როგორც ვადამდე ფლობილი ფასიანი ქაღალდები როდესაც ჯგუფს შესწევს მათი ვადამდე ფლობის უნარი. ეს განსაზღვრება არ მოიცავს განუსაზღვრელი ვადის მქონე ინვესტიციებს. ინვესტიციები ვადამდე ფლობილ ფასიან ქაღალდებში აისახება ამორტიზირებული ღირებულებით. ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ინვესტიციებისათვის მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშში ინვესტიციის გაუფასურების, ან ამორტიზაციის დროს.

#### *სესხები და მოთხოვნები*

სესხები და მოთხოვნები არაწარმოებული ფინანსური აქტივებია, რომელთაც გააჩნიათ ფიქსირებული თუ განსაზღვრული გადასახადი და რომელთა კოტირება არ ხდება ბაზარზე. ისინი არ კლასიფიცირდება როგორც სავაჭრო ფასიანი ქაღალდები და არ განისაზღვრება როგორც ვაჭრობისთვის განკუთვნილი ფასიანი ქაღალდები და არ გამოიყენება მოკლე პერიოდში გაყიდვის მიზნით. ასეთი აქტივები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშში ხდება სესხისა და მოთხოვნის ჩამოწერისას, გაუფასურებისას, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში.

#### *გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები*

გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები ის არაწარმოებულ ფინანსური აქტივებია, რომლებიც განსაზღვრულია როგორც გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები და არ შედის ზემოთაღნიშნულ სამ კატეგორიაში. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივების შეფასება ხდება სამართლიანი ღირებულებით, მოგებისა და ზარალის ცალკეულ კაპიტალის კომპონენტად აღიარებით, ინვესტიციის ჩამოწერამდე, ან გაუფასურებამდე, როდესაც მანამდე კაპიტალში აღრიცხული ჯამური მოგება თუ ზარალი აღირიცხება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშში. თუმცა, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დაანგარიშებული საპროცენტო განაკვეთის აღიარება ხდება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშში.

#### *სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა*

აქტიურ ბაზარზე გასაყიდად არსებული ინვესტიციების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება კოტირებული საბაზრო ფასწარმოქმნით ბალანსის შედგენის თარიღისათვის ან დილერის მიერ შეთავაზებული ფასით (შეთავაზებული ფასი გრძელ პოზიციაზე და მოთხოვნილი ფასი მოკლე პოზიციაზე), გარიგების ნებისმიერი ხარჯის გამოკლების გარეშე.

ყველა სხვა ინსტრუმენტის შემთხვევაში, რომელთა საბაზრო პირობებთან შედარება ვერ ხერხდება, სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება შეფასების მეთოდის გამოყენებით. ამგვარი მეთოდი გულისხმობს წმინდა მიმდინარე ღირებულების ტექნიკას, მსგავსი ინსტრუმენტის მიმდინარე საბაზრო ღირებულებასთან შედარებას, ფასწარმოქმნის მოდელებს და შეფასების სხვა შესაბამის მოდელებს.

## ჯგუფი საქართველოს სახალხო ბანკი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები  
2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათასობით ქართულ ლარში)

---

### 3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა (გაგრძელება)

#### გაქვითვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გაქვითვა და მათი წმინდა ღირებულებით აღრიცხვა კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშში ხორციელდება მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი თანხების გაქვითვის იურიდიული უფლება და მათი წმინდა ღირებულებით დაფარვის განზრახვა, ან განზრახვა, მოხდეს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების მყისიერი დაფარვა. გამონაკლისს წარმოადგენს გაქვითვის ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც ბალანსში მთიანი ღირებულებით ექვემდებარებიან აღიარებას.

#### ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, მოთხოვნებს საქართველოს ეროვნული ბანკისადმი, (სავალდებულო რეზერვების გამოკლებით) და საკრედიტო დაწესებულებებისადმი მოთხოვნებს, რომელთაც გააჩნიათ წარმოშობიდან 90 დღის ვადა და თავისუფალნი არიან საკონტრაქტო ვალდებულებებისაგან.

#### მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ

ჩვეული საქმიანობის პროცესში ჯგუფი სხვადასხვა ვადებით განათავსებს სახსრებს სხვა ბანკებში. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით აისახება. საკრედიტო დაწესებულებებისთვის გაცემული სესხები და ავანსები, ფიქსირებული დაფარვის ვადით, აისახება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საკრედიტო დაწესებულებებიდან მისაღები თანხები აისახება შესაძლო გაუფასურების დანაკარგების რეზერვის გამოკლებით.

#### ნასესხები სახსრები

ჯგუფის მიერ გაცემული ფინანსური ინსტრუმენტები წარმოადგენს ვალდებულებებს, სადაც კონტრაქტის პირობების შესაბამისად ჯგუფს აქვს ვალდებულება მფლობელს მიაწოდოს ფული, ან ფინანსური აქტივი, ან დაფაროს ვალდებულება ფიქსირებული თანხის, ან სხვა ფინანსური აქტივის საშუალებით საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტების ფიქსირებული რაოდენობით. ამგვარი ინსტრუმენტები მოიცავენ ვალდებულებებს ეროვნული ბანკისა და მთავრობის წინაშე, საკრედიტო ორგანიზაციებისა და მომხმარებელთა მიმართ და გამოშვებულ სავალო ფასიან ქაღალდებს. თავდაპირველი აღიარების შემდეგ სესხები აისახება სამართლიანი ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. ნასესხები სახსრების დაფარვის დროს და აგრეთვე ამორტიზაციის დროსაც წარმოშობილი მოგება-ზარალი აისახება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშში.

იმ შემთხვევაში თუ ჯგუფი გამოისყიდის საკუთარ ვალდებულებას, ეს ვალდებულება ამოღებას ექვემდებარება ბალანსიდან და სხვაობა ვალდებულების ნარჩენ ღირებულებასა და გადახდილ თანხას შორის აისახება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშში.



## ჯგუფი საქართველოს სახალხო ბანკი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული ფინიშნები  
2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათასობით ქართულ ლარში)

### 3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა (გაბრძელება)

იჯარა - ჯგუფი როგორც მოიჯარე

აქტივების იჯარა, რომელთა მიმართებაშიც მფლობელობის რისკებიც და სარგებელიც მოიჯარის ხელში გადადის, კლასიფიცირებულია, როგორც საოპერაციო იჯარა. საოპერაციო იჯარის საიჯარო თანხები აისახება წრფივი მეთოდით როგორც ხარჯი გრძელვადიან პერიოდში და შესულია ადმინისტრაციულ და საოპერაციო ხარჯებში.

საოპერაციო იჯარა - ჯგუფი, როგორც მემოიჯარე

ჯგუფი საკუთარ აქტივებს, რომლებიც საოპერაციო იჯარას ექვემდებარებიან კონსოლიდირებულ ბალანსში ასახავს აქტივის სპეციფიკიდან გამომდინარე. შემოსავალი საოპერაციო იჯარიდან აღიარებულია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშში წრფივი მეთოდის გამოყენებით სხვა შემოსავლების ნაწილში. იჯარიდან წარმოშობილი დაგროვილი ხარჯი აღიარებულია როგორც საიჯარო შემოსავლის შემცირება, რომლისთვისაც გამოიყენება წრფივი მეთოდი. პირდაპირი ხარჯები, რომლებიც გაღებული იყო შემოსავლის მისაღებად დამატებულია საიჯარო აქტივების ღირებულებაზე.

### ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი კონსოლიდირებული ბალანსის შედგენის თარიღისათვის განსაზღვრავს ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური აქტივების ჯგუფის გაუფასურებას. ფინანსური აქტივები, ან ფინანსური აქტივების ჯგუფი გაუფასურებულია, თუ აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ არსებობს გაუფასურების ობიექტური საფუძველი, და იმის ალბათობა, რომ გამოწვეული იქნება ზარალი და შესაძლებელი იქნება ფინანსური აქტივიდან და აქტივების ჯგუფიდან მოსალოდნელი ფულადი სახსრების შემოდინებაზე მისი გავლენის სარწმუნო შეფასება. გაუფასურების მაჩვენებელმა შეიძლება მოიცვას შემთხვევები, როდესაც მსესხებელი ან მსესხებელთა ჯგუფი განიცდის ფინანსურ სირთულეებს და ვერ იხდის პროცენტს, ან ძირითად თანხას, არსებობს გაკოტრების, ან ფინანსური რეორგანიზაციის ალბათობა, როდესაც მონაცემები გვიჩვენებს, რომ მოსალოდნელი ფულადი სახსრების შემოდინება საგრძნობლად შემცირდა ეკონომიკური პირობების გამო, რომლებიც უკავშირდება გადახდისუნარიანობას.

*მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ და კლიენტებზე გაცემული სესხები*

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ და კლიენტებზე გაცემული სესხები ჯგუფის მიერ განიხილება გაუფასურების მაჩვენებლების დადგენის მიზნით ინდივიდუალურად იმ აქტივებისთვის, რომლებიც ინდივიდუალურად მნიშვნელოვანია და კოლექტიურად იმ აქტივებისთვის, რომლებიც ინდივიდუალურად არ არიან მნიშვნელოვანი. თუ ჯგუფმა დაადგინა, რომ არ არსებობს გაუფასურების ობიექტური საფუძველი, აქტივის ჩართვა ხდება ფინანსური აქტივების ჯგუფში, მიუხედავად მისი მნიშვნელოვნობისა, რომელსაც გააჩნია ანალოგიური საკრედიტო რისკები და ამ ფინანსური აქტივების ჯგუფის გაუფასურების შეფასება ხდება კოლექტიურად. აქტივები, რომელთა გაუფასურების შეფასება ხდება ინდივიდუალურად, და რომელთათვისაც ხდება გაუფასურების დანაკარგების აღიარება, არ არის ჩართული გაუფასურების კოლექტიურად შეფასებულ აქტივების ჯგუფში.

## ჯგუფი საქართველოს სახალხო ბანკი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები  
2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათასობით ქართულ ლარში)

### 3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა (გაგრძელება)

თუ გაუფასურების ზარალის არსებობის ობიექტური საფუძველი დასაბუთდა, ზარალის თანხა განისაზღვრება როგორც სხვაობა აქტივების საბალანსო ღირებულებასა და ისეთი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის, რომლებშიც არ შედის ჯერ არ წარმოქმნილი საკრედიტო დანაკარგები. აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის გამოყენებით და დანაკარგის ოდენობა აღიარდება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშში. საპროცენტო შემოსავლების დარიცხვა ხდება შემცირებულ საბალანსო თანხაზე საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. სესხები, დაკავშირებულ რეზერვებთან ერთად ჩამოიწერება, თუ არ არსებობს იმის ალბათობა, რომ მომავალში ისინი დაიფარება. თუ მიმდინარე წელს შეფასებული გაუფასურების დანაკარგი გაიზარდა ან შემცირდა მისი აღიარების შემდეგ, წინა პერიოდის დანაკარგი იზრდება ან მცირდება კორექტირების საფუძველზე რეზერვის ანგარიშზე. თუ ჩამოწერა შემდგომ იქნა დაფარული, დაფარვა კრედიტდება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშში.

მომავალი ფულადი სახსრების ნაკადების მიმდინარე ღირებულება გამოითვლება ფინანსური აქტივების საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. თუ სესხს გააჩნია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტირებული განაკვეთი ნებისმიერი გაუფასურებისთვის იქნება მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი. უზრუნველყოფილი აქტივის შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების დათვლაში მონაწილეობას იღებს უზრუნველყოფის რეალიზაციით მიღებული თანხა შემცირებული რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯებით, თუ ამგვარი რეალიზაცია შესაძლებელია.

კოლექტიური გაუფასურების შეფასების მიზნებისათვის ფინანსური აქტივები დაჯგუფებულია ჯგუფის შიდა საკრედიტო შეფასების სისტემის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებს საკრედიტო რისკების მახასიათებლებს როგორებიცაა: ინდუსტრია, გეოგრაფიული მდებარეობა, უზრუნველყოფის ტიპი, ვადაგადაცილების არსებობა, და სხვა დაკავშირებული ფაქტორები.

#### დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციების შემთხვევაში ჯგუფი ინდივიდუალურად აფასებს გაუფასურებას. იმ შემთხვევაში თუ გაუფასურების დანაკარგის არსებობა ობიექტურად საბუთდება, დანაკარგის ოდენობა განისაზღვრება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის. აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება და დანაკარგის თანხა აღიარდება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშში.

თუ მომდევნო წელიწადში შეფასებული გაუფასურების დანაკარგი შემცირდება გაუფასურების აღიარების შემდგომი მოვლენის გამო, ნებისმიერი წინათ აღიარებული დანაკარგის თანხა დაკრედიტდება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშში.

## ჯგუფი საქართველოს სახალხო ბანკი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები  
2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათასობით ქართულ ლარში)

### 3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა (გაგრძელება)

*გასაყიდად არსებული ფინანსური ინვესტიციები*

გასაყიდად არსებული ფინანსური ინვესტიციების შემთხვევაში, ჯგუფი აფასებს თითოეულს საბალანსო თარიღისათვის ჯგუფის ინვესტიციების გაუფასურების ობიექტური მაჩვენებლის არსებობის დასადგენად.

იმ შემთხვევაში თუ ინვესტიცია კაპიტალში შეფასებულია როგორც გასაყიდად არსებული ფინანსური ინვესტიცია, გაუფასურების ობიექტური მაჩვენებლები მოიცავს მნიშვნელოვან ანდა ხანგრძლივ შემცირებას ინვესტიციის სამართლიან ღირებულებაში ინვესტიციის საბალანსო ღირებულების ქვემოთ. თუ გაუფასურება საბუთდება, აკუმულირებული ზარალი, რომელიც განისაზღვრება როგორც სხვაობა შესყიდვის ღირებულებასა და იმ მიმდინარე სამართლიან ღირებულებას შორის, რომელიც შემცირებულია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშში წინათ ასახული ნებისმიერი გაუფასურების ზარალის ოდენობით, უნდა ამოღებულ იქნას კაპიტალიდან და აისახოს კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშში. კაპიტალში ინვესტიციების გაუფასურების დანაკარგები არ შეტრიალდება კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშის მეშვეობით; მათი სამართლიანი ღირებულების გაუფასურების შემდგომი ზრდა აისახება პირდაპირ კაპიტალში.

*რესტრუქტურული ზირებული სესხი*

შესაძლებელია ჯგუფმა უპირატესობა მიანიჭოს სესხების რესტრუქტურულ საცდის ვიდრე დაისაკუთროს უქრუნველყოფაში ჩადებული ქონება. ეს არის შემთხვევა როდესაც იდება ახალი ხელშეკრულება, სადაც მითითებულია ახალი სასესხო პირობები. მას მერე რაც ახალი პირობები შეთანხმებულია, სესხი აღარ განიხილება როგორც ვადა გადაცილებული. ხელმძღვანელობა მუდმივად განიხილავს რესტრუქტურულ სესხებს იმის დასადგენად რომ ყველა კრიტერიუმში დაკმაყოფილებულია და მომავალი გადახდების შემოსვლა მოსალოდნელია. ასეთი სესხები, ინდივიდუალურად ან კოლექტიურად განიხილება გაუფასურების შეფასებისას, რომლის დათვლისთვის ხდება სესხის საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენება.

### ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩამოწერა

*ფინანსური აქტივები*

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება თუ:

- ამოწერა აქტივის მიერ ფულადი სახსრების შემოტანის ვადა;
- ჯგუფმა გადასცა აქტივის მიერ ფულადი სახსრების შემოტანის უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე მესამე პირებისათვის გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- ჯგუფის მიერ (ა) გადაცემულ იქნა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) ჯგუფის მიერ გადაცემულ იქნა აქტივზე კონტროლი.

## ჯგუფი საქართველოს სახალხო ბანკი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები  
2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათასობით ქართულ ლარში)

### 3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა (გაბრძელება)

იმ შემთხვევაში, როდესაც ჯგუფის მიერ გადაცემულ იქნა აქტივიდან თანხის მიღების უფლება და არ მომხდარა რისკებისა და სარგებლის გადაცემა და არც აქტივზე კონტროლის გადაცემა, ჯგუფის მიერ აქტივის აღიარება ხდება შემდგომი გამოყენების პირობით. შემდგომი გამოყენება, რომელსაც გააჩნია გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა აისახება აქტივის უმცირესი საბალანსო ღირებულებით და იმ მაქსიმალური თანხის გათვალისწინებით, რომლის გადახდაც შესაძლოა დასჭირდეს ჯგუფს.

როდესაც შემდგომი გამოყენება მიიღებს გადაცემულ აქტივზე წერილობითი და/ან შექმნილი ოფციონის ფორმას (ფულადი ოფციონების ან მსგავსი საკონტრაქტო პირობების სახით), ჯგუფის ჩართულობის ხარისხი წარმოადგენს იმ გადაცემული აქტივის თანხას, რომელითაც შესაძლებელია აქტივის გამოსყიდვა. თუმცა იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს წერილობითი მიწოდების ოფციონი (ფულადი ოფციონების ან მსგავსი საკონტრაქტო პირობების სახით) სამართლიანი ღირებულებით ასახულ აქტივზე, ჯგუფის ჩართულობის ხარისხი შემოიფარგლება გადაცემული აქტივების სამართლიან ღირებულებასა და ოფციონის მიმდინარე საბაზრო ღირებულებას შორის უმცირესით.

#### *ფინანსური ვალდებულებები*

ფინანსური ვალდებულებების ჩამოწერა ხდება მაშინ, როდესაც ვალდებულებები აქტივთან მიმართებაში ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ცვლის მეორე იმავე კრედიტორთან, თუმცა სხვა პირობებით, ან, თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია გულისხმობს საწყისი ვალდებულების ჩამოწერას და ახალი ვალდებულების ასახვას, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულების სხვაობა აისახება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშში.

#### **სადაზღვევო და სხვა მოთხოვნები**

აღიარების შემდგომ მოთხოვნები აისახება ამორტიზირებული ღირებულებით, რომელიც გამოითვლება ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. მოკლევადიანი მოთხოვნები, რომლებსაც პროცენტი არ ერიცხებათ, აღირიცხება ნომინალური ღირებულებით. შეფასებული დაუფარავი თანხებისთვის იქმნება შესაფერისი რეზერვები მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური დასაბუთება იმისა, რომ აქტივი გაუფასურებულია.

#### **ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი ღირებულება განისაზღვრება მათი შესყიდვის ფაქტიურ ხარჯებზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავს მათი შესყიდვის ფასს, შესყიდვის არ ანაზღაურებად გადასახადს და ნებისმიერ პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯს, რომელიც უკავშირდება აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანას და დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად განთავსებას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ძირითადი საშუალებები, გარდა მიწისა და შენობების, წარმოდგენილია ისტორიული ღირებულებით, ცვეთისა და გაუფასურების გამოკლებით.

## ჯგუფი საქართველოს სახალხო ბანკი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები  
2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათასობით ქართულ ლარში)

### 3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება აქტივების ისტორიული (გადაფასებული) ღირებულებიდან და გამოიყენება აქტივების ჩამოსაწერად მათი ექსპლუატაციის ვადის მიხედვით. ცვეთისა და ამორტიზაციის გაანგარიშება წარმოებს წრფივი მეთოდის გამოყენებით შემდეგი წლიური განაკვეთების გამოყენებით:

შენობები და სხვა უძრავი ქონება	2%-5%
ავეჯი და მოწყობილობები	15%-20%
კომპიუტერული ტექნიკა	20%-25%
სატრანსპორტო საშუალებები	20%-25%
იჯარით აღებული ძირითადი საშუალებების გაუმჯობესება	15%-25%

იჯარით აღებული ძირითადი საშუალებების გაუმჯობესების ცვეთა ითვლება მათთან დაკავშირებული იჯარით აღებული აქტივების სასარგებლო მოხმარების პერიოდზე. შეკეთებისა და განახლების ხარჯები აისახება გაწვევისთანავე და მიეკუთვნება საოპერაციო ხარჯებს ან ექვემდებარება კაპიტალიზაციას თუ არსებობს ამის საკმარისი საფუძველი.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება თითოეული საანგარიშგებო თარიღისათვის იმისათვის, რომ დადგინდეს აღემატება თუ არა ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება მათ აღდგენით ღირებულებას. ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების აღდგენით ღირებულებაზე გადამეტების შემთხვევაში, აქტივების საბალანსო ღირებულება ექვემდებარება შემცირებას მათ აღდგენით ღირებულებამდე. გაუფასურებით მიღებული დანაკარგების აღიარება ხდება შესაბამის საანგარიშგებო პერიოდში და მიეკუთვნება საოპერაციო ხარჯებს. გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგების ასახვის შემდეგ, ხდება ძირითადი საშუალებების ცვეთის კორექტირება შემდგომ პერიოდებში, იმისათვის რომ თანაბრად გადანაწილდეს გაანგარიშებული აქტივების საბალანსო ღირებულება ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (თუ ასეთი არსებობს) დარჩენილ სასარგებლო მოხმარების პერიოდზე.

მიწა და შენობები, რომლებიც გამოიყენება მომსახურების გაწვევისთვის, ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის, აღრიცხულია კონსოლიდირებულ ბალანსში გადაფასებული ღირებულებით, რომელიც წარმოადგენს სამართლიან ღირებულებას გადაფასების თარიღისათვის მოპოვებულს პროფესიონალი დამოუკიდებელი შემფასებლების მიერ ბაზრის მონაცემებზე დაყრდნობით, შემცირებულს შემდგომი დაგროვილი ცვეთის და აკუმულირებული გაუფასურების ოდენობით.

ძირითადი საშუალებების გადაფასების შედეგად გაზრდილი ღირებულება აღირიცხება ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის ანგარიშის დაკრედიტებით, გარდა იმ შემთხვევისა თუკი ის ამცირებს წინა პერიოდებში მოგება-ზარალის ანგარიშში აღიარებულ ჩამოფასების ზარალს. ასეთ შემთხვევაში, ზრდა აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშში წინა პერიოდში აღიარებული ხარჯების ოდენობით. გადაფასების შედეგად გამოწვეული ნარჩენი ღირებულების შემცირება აღირიცხება წინა პერიოდში წარმოშობილი გადაფასების რეზერვის ანგარიშის შემცირებით.

### 3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა (გაგრძელება)

გადაფასებული აქტივების ცვეთა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშში. გადაფასებული ძირითადი საშუალებების შემდგომი გაყიდვის ან ჩამოწერის

## ჯგუფი საქართველოს სახალხო ბანკი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათასობით ქართულ ლარში)

შემთხვევაში, ამ ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის წილი პირდაპირ გადატანილ უნდა იქნეს გაუნაწილებელ მოგებაში.

მიწისა და შენობების სამართლიანი ღირებულება სამი მეთოდის გამოყენებით განისაზღვრება:

- გაყიდვის შედარებითი ანალიზის მეთოდი, რომელიც მოიცავს მსგავსი უძრავი ქონების საბაზრო გასაყიდი ფასების ანალიზს;
- შემოსავლის კაპიტალიზაციის მეთოდი, რომელიც აფასებს პირდაპირ დამოკიდებულებას უძრავი ქონებით გენერირებულ შემოსავლებსა და საბაზრო ღირებულებას შორის;
- დანახარჯების მეთოდი, რომელიც უძრავი ქონების ღირებულებას ითვალისწინებს მისი აღდგენითი ღირებულების შესაბამისად ცვეთის ხარჯების გამოკლებით.

### არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს.

ცალკეული არამატერიალური აქტივი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით; თავდაპირველი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით შემცირებული აკუმულირებული ამორტიზაციისა და აკუმულირებული გაუფასურების ოდენობით. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მოხმარების პერიოდი შეფასებულია განსაზღვრული თუ განუსაზღვრელი ვადით. ვადიანი არამატერიალური აქტივები ამორტიზირებულია სასარგებლო ეკონომიური მოხმარების 5-10 წლის განმავლობაში და მათი შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება გაუფასურების მაჩვენებლების არსებობისას. ვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის რეგულარობისა და მეთოდების გადახედვა ხდება სულ მცირე ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს.

### გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე და გადავადებული გადასახადების ხარჯების ჯამს.

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოითვლება წლის დასაბეგრი მოგებიდან. დასაბეგრი მოგება განსხვავდება წმინდა მოგებისაგან, რომელიც ასახულია მოგება-ხარჯის ანგარიშში, ვინაიდან ის არ მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების იმ ნაწილს, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას ან გამოქვითვას წინა წლებში და აგრეთვე იმ შემოსავლებსა და ხარჯებს, რომელიც საერთოდ არ ექვემდებარება დაბეგვრას ან გამოქვითვას. ჯგუფის მიმდინარე გადასახადის ხარჯი გაანგარიშებულია იმ საგადასახადო განაკვეთით, რომელიც მოქმედებდა ანგარიშგების პერიოდისათვის.

## ჯგუფი საქართველოს სახალხო ბანკი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები  
2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათასობით ქართულ ლარში)

### 3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა (გაბრძელება)

გადავადებული მოგების გადასახადი არის გადასახდელი ან გამოსაქვითი გადასახადი, რომელიც წარმოიქმნება ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივების და ვალდებულებების ნარჩენ ღირებულებასა და მათ დასაბეგრ ბაზას შორის და აღირიცხება აისახება ბალანსის ვალდებულების მეთოდის გამოყენებით. გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები ჩვეულებრივ აღიარებას ექვემდებარება ყველა დროებითი სხვაობისათვის, ხოლო გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარებას ექვემდებარება იმდენად, რამდენადაც არსებობს საფუძვლიანი მოლოდინი იმისა, რომ იარსებებს დასაბეგრი მოგება, რომლის მიმართაც გამოყენებული იქნება არსებული დროებითი სხვაობა. აქტივების და ვალდებულებების აღიარება არ ხდება, თუ დროებითი განსხვავება გამოწვეულია აქტივების და ვალდებულებების პირველადი აღიარებით იმ ოპერაციებში, რომლებიც ზემოქმედებას არ ახდენს როგორც საგადასახადო მოგებაზე ასევე საბუღალტრო მოგებაზე.

გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები აღიარებას ექვემდებარება დროებითი სხვაობების საფუძველზე, რომელიც წარმოიქმნება ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებზე, იმ შემთხვევის გამოკლებით როდესაც ბანკი აკონტროლებს ცვლილებას და ახლო მომავალში ამ დროებითი სხვაობების რეზერვის წარმოქმნა არ არის ნაგარაუდები.

გადავადებული მოგების გადასახადის აქტივების ნარჩენი ღირებულება ექვემდებარება გადახედვას ყოველი საბალანსო პერიოდისათვის და მცირდება იმდენად, რამდენადაც აღარ არსებობს საკმარისი დასაბეგრი მოგების მოლოდინი, რომელიც გამოყენებული იქნება ყველა ან ზოგიერთი აქტივის აღსადგენად.

გადავადებული გადასახადი იანგარიშება იმ საგადასახადო განაკვეთით, რომელიც მოსალოდნელია ვალდებულების გასტუმრების ან აქტივის რეალიზების პერიოდისათვის. გადავადებული გადასახადი აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის დაკავშირებულია უშუალოდ კაპიტალთან.

გადავადებული მოგების გადასახადის აქტივები და მოგების გადასახადის ვალდებულებები გაიქვითება და საბალანსო ანგარიშგებაში აისახება წმინდად, თუ:

- უგუფს აქვს იურიდიული ძალა მოახდინოს მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივის გაქვითვა მოგების გადასახადის ვალდებულებებთან მიმართებაში; და
- გადავადებული მოგების გადასახადის აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები უკავშირდება მოგების გადასახადებს, რომლებიც ერთიდაიგივე საგადასახადო ორგანომ დაუწესა ამავე საწარმოს.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა გადასახადი, რომელიც გავლენას ახდენს ჯგუფის საქმიანობაზე. ეს გადასახადები ჩართულია საოპერაციო ხარჯებში მოგება-ზარალის ანგარიშში.

## ჯგუფი საქართველოს სახალხო ბანკი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები  
2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათასობით ქართულ ლარში)

---

### 3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა (გაბრძელება)

**ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ, კლიენტთა ანგარიშები, და სხვა ნასესხები სახსრები**

ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ, კლიენტთა ანგარიშები და სხვა ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარებას ექვემდებარება სამართლიანი ღირებულებით. მისაღები თანხები აისახება ამორტიზებული ღირებულებით და ნებისმიერი სხვაობა წმინდა შემოსავალსა და დაფარულ თანხებს შორის აისახება მოგება-ზარალის ანგარიშში ვალდებულების საბოლოო გადახდამდე, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

#### **რეზერვები**

რეზერვის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს აქვს მიმდინარე იურიდიული ან პირობითი ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშვა წარსული მოვლენების შედეგად და რომელთა დაფარვისათვის შესაძლებელია საჭირო გახდეს ეკონომიკური სარგებლის მატარებელი რესურსების გადინება. აღნიშნული ვალდებულებების შეფასება შესაძლებელი უნდა იყოს საკმარისი ხარისხის სიზუსტით.

#### **სადაზღვევო კონტრაქტების რეზერვები გამოუმუშავებელ პრემიებზე**

სადაზღვევო რეზერვი გამოუმუშავებელ პრემიებზე წარმოადგენს პროპორციულ ოდენობას პრემიებისა, რომლებიც გაიწერა საბალანსო თარიღით მოქმედი ამოუწურავი პოლისების შესაბამისი პერიოდების მიხედვით და გამოითვლება დროის გადანაწილების პროპორციულად.

#### **სადაზღვევო კონტრაქტების მოთხოვნების რეზერვები**

სადაზღვევო კონტრაქტების რეზერვები წარმოადგენს დანაკარგების აკუმულირებულ შეფასებას და მოიცავს წარმოადგენილი, მაგრამ დაუფარავი მოთხოვნების ("RBNS") რეზერვებსა და მომხდარი, მაგრამ ჯერ არ წარმოდგენილი მოთხოვნების რეზერვებს ("IBNR").

"RBNS" რეზერვი წარმოიქმნება იმ მოთხოვნებისთვის, რომლებიც წარმოდგენილია, მაგრამ არ არის დაფარული ბალანსის თარიღისათვის. შეფასება ხორციელდება იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელსაც ჯგუფი იღებს დაზღვევის შემთხვევების კვლევისას.

"IBNR" რეზერვი უნდა განისაზღვროს ჯგუფის მიერ ბიზნესის თანმიმდევრულობის შესაბამისად აქტუარების მიერ და უნდა მოიცავს დაშვებები წინა წლების მოთხოვნებზე და მათ გადახდაზე მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით. ამგვარი შეფასებების განსაზღვრების და შესაბამისი რეზერვების ფორმირების მეთოდები მუდმივად განიხილება და ახლდება. კორექტირებები აისახება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშში.

დანაკარგების რეზერვები ფასდება არადისკონტირების საფუძველზე მოთხოვნების წარდგენისა და გადახდების განხორციელების შედარებითი სისრაფის გამო.



## ჯგუფი საქართველოს სახალხო ბანკი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები  
2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათასობით ქართულ ლარში)

### 3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა (გაბრძელება)

#### გაცემული ფინანსური გარანტიები და აკრედიტივები

ბიზნესის წარმოების ჩვეულებრივ პროცესში ჯგუფი გასცემს ფინანსურ გარანტიებს აკრედიტივებისა და გარანტიების სახით. ფინანსური გარანტიები აღირიცხება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით “სხვა ვალდებულების” ანგარიშზე. თავდაპირველი აღიარების შემდგომ ჯგუფის ვალდებულებები ყოველი გარანტიის ფარგლებში განისაზღვრება როგორც უმეტესი ამორტიზირებულ პრემიასა და გარანტიის შედეგად წარმოქმნილი ნებისმიერი ფინანსური ვალდებულების დაფარვის ხარჯების საუკეთესო მიახლოებას შორის.

ყოველი მატება ვალდებულებებში, რომელიც წარმოიქმნება ფინანსური გარანტიებიდან აისახება მოგება-ზარალის ანგარიშში. მიღებული პრემია აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშში წრფივი მეთოდის გამოყენებით გარანტიის არსებობის პერიოდის მიხედვით.

#### პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება კონსოლიდირებულ ბალანსში, მაგრამ წარმოდგენილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც ანგარიშსწორებისას სახსრების გადინების ალბათობა მცირეა. პირობითი აქტივი ბალანსში არ აისახება, მაგრამ წარმოდგენილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური მოგების მიღებაა ნაგარაუდები.

#### სააქციო კაპიტალი

##### *სააქციო კაპიტალი*

ჩვეულებრივი აქციები წარმოადგენს სააქციო კაპიტალს. შენატანები კაპიტალში აღირიცხება მათი ღირებულებით. დამატებით შეტანილი კაპიტალი წარმოადგენს კაპიტალში შენატანების მეტობას გამოსვებული აქციების ნომინალურ ღირებულებასთან შედარებით. გარე ხარჯები, პირდაპირ დაკავშირებული ახალი აქციების გამოშვებასთან საწარმოთა გაერთიანებისას გამოსვებული აქციების გარდა, წარმოდგენილია როგორც კაპიტალში შენატანების შემცირება..

##### *გამოსყიდული აქციები*

როდესაც ბანკი ან მისი შვილობილი კომპანია ყიდულობს ბანკის აქციებს, გადახდილი თანხა გარიგებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ხარჯების ჩათვლით, მოგების გადასახადის გათვალისწინებით აკლდება მთლიან სააქციო კაპიტალს როგორც გამოსყიდული აქციები სანამ არ მოხდება ამ აქციების ანულირება ან თავიდან გამოსვება. როდესაც ხდება ასეთი აქციების შემდგომი გაყიდვა ან თავიდან გამოსვება, მიღებული თანხა ემატება სააქციო კაპიტალს. გამოსყიდული აქციები აღირიცხება საშუალო შეწონილი ღირებულებით.

## ჯგუფი საქართველოს სახალხო ბანკი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შინაშენი  
2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათასობით ქართულ ლარში)

---

### 3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა (გაბრძელება)

#### დივიდენდები

დივიდენდები წარმოადგენს ვალდებულებას და აკლდება კაპიტალს ბალანსის თარიღით მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მათი შეთავაზება წინ უსწრებს ან ემთხვევა ბალანსის თარიღს. დივიდენდები უნდა იყოს წარდგენილი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თუ მათი შეთავაზება მოხდა ბალანსის თარიღამდე ანდა თუ მათი შეთავაზება ან გამოცხადება მოხდა ბალანსის თარიღის შემდგომ მაგრამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცების თარიღამდე.

#### სეგმენტური ანგარიშგება

ჯგუფის ოპერაციები მნიშვნელოვნად ინტეგრირებულია და ძირითადად წარმოადგენს ერთ საბანკო სეგმენტს, რომელიც მოიცავს ჯგუფის ოპერაციების 98%-ზე მეტს. შესაბამისად ბასს 14, სეგმენტური ანგარიშგების მიზნებისათვის ჯგუფი განიხილება როგორც ერთი ბიზნეს სეგმენტი. ჯგუფის აქტივები ძირითადად კონცენტრირებულია საქართველოში, და ჯგუფის შემოსავლებისა და მოგების უდიდესი ნაწილი წარმოიქმნება საქართველოში ან საქართველოსთან დაკავშირებული ოპერაციებიდან.

#### საპენსიო და სხვა ვალდებულებები

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ჯგუფი უკავებდა თანამშრომლებს საპენსიო თანხას ხელფასიდან და რიცხავდა სახელმწიფო საპენსიო ფონდში 2008 წლის 1 იანვრამდე ისე, რომ ხდებოდა თანამშრომლის ხელფასის გარკვეული პროცენტის ხელფასიდან მოჭრა და სახელმწიფო საპენსიო ფონდში გადარიცხვა თანამშრომლის სახელით. ეს ხარჯი აღირიცხებოდა იმ პერიოდში, როდესაც ხდებოდა შესაბამისი ხელფასის ხარჯის აღიარება. პენსიაზე გასული თანამშრომლებისათვის ყველა საპენსიო გადახდას ახორციელებს სახელმწიფო საპენსიო ფონდი. ჯგუფს არ გააჩნია რაიმე სხვა საპენსიო შეთანხმებები გარდა საქართველოს სახელმწიფო საპენსიო ფონდისა. გარდა ამისა, ჯგუფს არ გააჩნია პენსიაზე გასულის შემდგომი ანაზღაურების ვალდებულება ან სხვა რაიმე მნიშვნელოვანი ანაზღაურებადი კომპენსაციის ვალდებულება, რომელიც საჭიროებს დარიცხვას.

#### შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია, რომ მოხდება ეკონომიკური სარგებლის შემოდინება ჯგუფში და ამ სარგებლის შემოდინების ოდენობის სარწმუნოდ განსაზღვრა არის შესაძლებელი. შემდეგი სპეციფიური აღიარების კრიტერიუმებიც უნდა იყოს დაკმაყოფილებული იმისათვის, რომ მოხდეს შემოსავლების აღიარება:

## ჯგუფი საქართველოს სახალხო ბანკი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები  
2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათასობით ქართულ ლარში)

### 3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა (გაბრძელება)

*საპროცენტო და მსგავსი შემოსავლები და ხარჯები*

ყველა ფინანსური ინსტრუმენტისათვის, რომელიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით და აგრეთვე პროცენტის მქონე ფასიანი ქაღალდებისათვის, რომლებიც კლასიფიცირებულია როგორც სავაჭრო ან გასაყიდად არსებული, საპროცენტო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება ხდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც ზუსტად აღისკონტირებს ფინანსური აქტივის ან ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე მოსალოდნელ სამომავლო ფულად გადახდებს ან შემოსავლებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან უფრო მოკლე პერიოდის მიხედვით, იმის და მიხედვით თუ რომელი პერიოდის გამოყენებაა საჭირო. დათვლა ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა სახელშეკრულებო პირობას (მაგ., წინასწარ გადახდის უფლება) და მოიცავს ყველა მოსაკრებელსა და თუ ზრდად ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსურ ინსტრუმენტს და წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, მაგრამ არა სამომავლო საკრედიტო დანაკარგების ნაწილს. ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება კორექტირდება თუ ჯგუფი ცვლის მოსალოდნელი გადახდების ან შემოსავლების შეფასებას. კორექტირებული საბალანსო ღირებულება გამოითვლება საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით და საბალანსო ღირებულების ცვლილება აღირიცხება როგორც საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი.

მას შემდეგ, რაც ფინანსური აქტივი, ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფი განიცდის გაუფასურების დანაკარგებს, საპროცენტო შემოსავლის აღიარება გრძელდება საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიყენებით ახალ საბალანსო ღირებულებასთან მიმართებაში.

#### საკომისიო შემოსავლები

ბანკი იღებს საკომისიო შემოსავალს, კლიენტებისთვის სხვადასხვა მომსახურების გაწევის შედეგად. საკომისიო შემოსავლები შეიძლება დაჯგუფდეს ორ კატეგორიად:

- *ისეთი მომსახურების საკომისიო შემოსავალი, რომლის გაწევაც ხდება გარკვეული პერიოდის განმავლობაში*

გარკვეული პერიოდის განმავლობაში გაწეული მომსახურების საკომისიოს დარიცხვა ხდება შესაბამის პერიოდში. საკომისიო შეიცავს გასამრჯელოებს, და ასევე საგარანტიო და საკონსულტაციო გადასახადებს. საკომისიო გადასახადები გასაცემ სესხებზე ისევე როგორც სხვა საკრედიტო გასამრჯელოები (ყველა მზარდ ხარჯებთან ერთად) უნდა იქნეს გადავადებული და აღიარდეს როგორც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კორექტირება.

- *გარიგების მომსახურების საკომისიო შემოსავლები*

საკომისიო შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება მესამე პირისთვის გარიგების მოლაპარაკებისას, როგორცაა მაგალითად აქციების ან სხვა ფასიანი ქაღალდების ყიდვის შეთანხმება ან ბიზნესის გაყიდვის ან ყიდვის გარიგება, აღიარდება მომსახურების მიწოდების დასრულების დროს. საკომისიოები ან მათი კომპონენტები, რომლებიც დაკავსირებულია გარკვეული მომსახურების განხორციელებასთან, აღიარდება შესაბამისი მომსახურების შესრულების შედეგად.

## ჯგუფი საქართველოს სახალხო ბანკი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები  
2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათასობით ქართულ ლარში)

### 3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა (გაბრძელება)

#### დივიდენდების სახით მიღებული შემოსავალი

შემოსავლის აღიარება ხდება მას შემდეგ, რაც ჯგუფს უჩნდება გადახდის მოთხოვნის უფლება.

#### ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენა ხდება ლარში, რომელიც წარმოადგენს ჯგუფის ფუნქციონალურ და საანგარიშგებო ერთეულს. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად აღიარდება ფუნქციონალურ ვალუტაში და კონვერტირდება ოპერაციის დღისთვის დადგენილი კურსით. უცხოურ ვალუტაში ასახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები საბალანსო თარიღის კურსით კონვერტირდება ფუნქციონალურ ერთეულში. მოგება/ზარალი უცხოური ვალუტის ოპერაციებიდან აღიარდება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშში, როგორც წმინდა მოგება უცხოური ვალუტის ოპერაციებიდან. არაფულადი ანგარიშები, რომელებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება თავდაპირველი ოპერაციის თარიღის გაცვლითი კურსით. არაფულადი მუხლები, რომელებიც წარდგენილია სამართლიანი ღირებულებით უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება სამართლიანი ღირებულების დადგენის დღეს მოქმედი გაცვლითი კურსით.

სხვაობები ოპერაციების სახელშეკრულებო კურსსა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ოპერაციის დღეს დადგენილ ოფიციალურ კურსს შორის აღიარდება როგორც უცხოურ ვალუტაში ოპერაციებიდან მიღებული წმინდა მოგება.

#### გაცვლითი კურსები

ჯგუფის მიერ 2008 და 2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კონსოლიდირებული ბალანსის მომზადებისას გამოყენებული გაცვლითი კურსებია:

	31 დეკემბერი 2008	31 დეკემბერი 2007
ქართული ლარი/1 ამერიკული დოლარი	1.6670	1.5916
ქართული ლარი/1 ევრო	2.3648	2.3315

#### ხელმძღვანელობის განსჯის მნიშვნელოვანი არეები და შეფასების არასარწმუნოების წყაროები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ჯგუფის ხელმძღვანელობისაგან ისეთი შეფასებებისა და განსჯების გაკეთებას, რომელებიც გავლენას ახდენს საანგარიშგებო თარიღით წარდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე, და აგრეთვე ამავე თარიღით დასრულებული პერიოდისათვის შემოსავლებისა და ხარჯების წარდგენილ თანხებზე. ხელმძღვანელობა მუდმივად ახდენს მის მიერ გაკეთებული დაშვებებისა და შეფასებების გადახედვას. ხელმძღვანელობის შეფასებები ემყარება წარსულის გამოცდილებას და აგრეთვე სხვა ფაქტორებს, რომელების მოცემული გარემოებისთვის მიზანშეწონილად არის მიჩნეული. შესაძლებელია რომ სხვადასხვა გარემოებების გათვალისწინებით, რეალური შედეგი არ დაემთხვეს გაკეთებულ შეფასებას. ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის ასახვისათვის, მნიშვნელოვნად ითვლება შემდეგი შეფასებები და დაშვებები:

## ჯგუფი საქართველოს სახალხო ბანკი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები  
2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათასობით ქართულ ლარში)

### 3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა (გაგრძელება)

სესხების გაუფასურების დანაკარგების რეზერვი

ჯგუფი ბალანსის თარიღით განსაზღვრავს ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური აქტივების ჯგუფის გაუფასურებას. თუ არსებობს ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ამორტიზირებული ღირებულებით ასახული აქტივის გაუფასურებით გამოწვეული იქნება ზარალი, ზარალის მოცულობა აისახება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე მოცულობას შორის (ისეთი სამომავლო საკრედიტო ზარალის გამოკლებით, რომელსაც ჯერ ადგილი არ ჰქონია), რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ე.ი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი დაანგარიშებულია თავდაპირველი აღიარებისას).

აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება შესაძლებელია რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. გაუფასურების დანაკარგების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშში.

უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება ასახავს იმ ფულად ნაკადებს, რომლებიც შესაძლოა მიღებული იყოს უზრუნველყოფის რეალიზებით, გამოკლებული უზრუნველყოფის დასაკუთრებასა და მის შემდგომ რეალიზაციაზე გაწეული ხარჯები, განურჩევლად იმისა, მოსალოდნელია თუ არა უზრუნველყოფის გამოყენება.

იმ შემთხვევაში, როდესაც მსესხებელს აქვს ფინანსური სირთულეები და ჯგუფს გააჩნია მისი წარსული მოღვაწეობის შესახებ მწირი ინფორმაცია, ჯგუფის ხელმძღვანელობა აკეთებს დაშვებებს გაუფასურების დანაკარგების ოდენობის დასადგენად. მსგავსად ჯგუფი აკეთებს დაშვებებს სამომავლო ფულადი ნაკადების ცვლილებასთან მიმართებაში წარსული მოღვაწეობის, მსესხებლის წარსული ქცევისა და სხვა თვალსაჩინო მაჩვენებლების საფუძველზე, რომლებიც მიუთითებს მსესხებლის ან მსესხებელთა ჯგუფის გადახდისუნარიანობის გაუარესებაზე, და აგრეთვე ქვეყნისა და ადგილობრივ ეკონომიკურ ვითარებას რომელიც გავლენას ახდენს აქტივთა ჯგუფის დაბრუნებადობაზე. ხელმძღვანელობა აკეთებს დაშვებებს მსგავსი საკრედიტო მახასიათებლების მქონე სესხთა ჯგუფის გაუფასურების დანაკარგების წარსული გამოცდილების გამოყენებით. ჯგუფი იყენებს ხელმძღვანელობის დაშვებებს თვალსაჩინო მაჩვენებლების კორექტირებისას სესხთა ჯგუფისთვის რათა გათვალისწინებულ იქნას მიმდინარე გარემოებები, რომლებიც არ არის ასახული წარსულ ინფორმაციაში.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვები განისაზღვრება არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით. ჯგუფს არ შეუძლია იწინასწარმეტყველოს თუ რა ცვლილებები მოხდება საქართველოში და თუ რა გავლენა შეიძლება იქონიოს ამგვარმა ცვლილებებმა ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვებზე მომავალში.

### ფინანსური ინსტრუმენტების შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც განკუთვნილია გასაყიდად, აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით. მსგავსი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება შეიძლება იყოს ის თანხა, რამდენადაც ინსტრუმენტი შეიძლება გაიცვალოს მსურველ მხარეებს შორის, გარდა იძულებითი ან სალიკვიდაციო გაყიდვისა. თუ ინსტრუმენტს გააჩნია კვოტირებული ფასი, მაშინ მისი სამართლიანი ღირებულება დაითვლება საბაზრო ფასის მიხედვით.

## ჯგუფი საქართველოს სახალხო ბანკი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები  
2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათასობით ქართულ ლარში)

### 3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა (გაბრძელება)

როდესაც ბაზარზე ვერ ხერხდება შეფასების პარამეტრების იდენტიფიკაცია, ან არ ხერხდება მათი გამოყოფა თვალსაჩინო საბაზრო ფასებისგან, მათი სამართლიანი ღირებულება დგინდება სხვა არსებული საბაზრო მონაცემების მიხედვით, რომელიც შეესაბამება თითოეულ პროდუქტს და ფასის მოდელები, რომლებიც ეფუძნება მათემატიკურ მეთოდოლოგიას ფინანსური თეორიების საფუძველზე.

ფასის მოდელები ითვალისწინებს ფასიანი ქაღალდების სახელშეკრულებო პირობებს და აგრეთვე საბაზრო შეფასების პარამეტრებს, როგორცაა საპროცენტო შემოსავალი, ცვალებადობა, ვალუტის კურსები, და მეორე მხარის საკრედიტო რეიტინგი. სადაც ბაზარზე დაფუძნებული შეფასების პარამეტრები არ არსებობს, ხელმძღვანელობა მაქსიმალურად ცდილობს სწორად შეაფასოს გამოტოვებული პარამეტრიც, იმისათვის რომ მოიპოვოს მისაღები დაშვება თუ როგორი ფასი ექნებოდა პროდუქტს ბაზარზე. ამ მეთოდის განხორციელებისას გამოიყენება სხვადასხვა საშუალებები, ისტორიული მონაცემები, ექსტრაპოლაციის ტექნიკები და ა.შ. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიანი ღირებულების საუკეთესო საფუძველი არის გარიგების ფასი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ინსტრუმენტი ეფუძნება სხვა თვალსაჩინო ბაზრების შედარებით. ნებისმიერი სხვაობა გარიგების ფასსა და ღირებულებას შორის, შეფასების ტექნიკაზე დაფუძნებით არ აღიარდება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშში თავდაპირველი აღიარებისას.

მოგება-ზარალი აღიარებას ექვემდებარება იმ ოდენობით რამდენადაც იგი გამოწვეულია ცვლილებით იმ ფაქტორებში, რომელსაც ბაზრის მონაწილეები ითვალისწინებენ ფასწარმოქმნისას.

ჯგუფი ითვალისწინებს, რომ ბუღალტრული შეფასება, რომელიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს იმ შემთხვევაში როდესაც კოტირებული საბაზრო ფასები არ არსებობს, წარმოადგენს დაშვების არასარწმუნოების უმთავრეს წყაროს: (I) იგი დიდად ექვემდებარება ცვალებადობას პერიოდიდან პერიოდად, ვინაიდან ხელმძღვანელობისაგან მოითხოვს შეფასებების გაკეთებას საპროცენტო განაკვეთზე, ცვალებადობაზე, გაცვლით კურსებზე, საკრედიტო რეიტინგზე, შეფასების კორექტირებებსა და გარიგების სპეციფიურ მანუვლებზე და (II) შეფასებაში ცვლილების აღიარებისას ბალანსის თარიღით წარდგენილი აქტივის ღირებულებაზე ეფუძნება, ისევე როგორც მოგება-ზარალის ეფექტი შეიძლება იყოს არსებითი.

ხელმძღვანელობას რომ გამოეყენებინა სხვადასხვა შეფასებები საპროცენტო განაკვეთზე, ცვალებადობაზე, გაცვლით კურსებზე, საკრედიტო რეიტინგზე, შეფასების კორექტირებებზე ეს გამოიწვევდა ცვლილებებს იმ ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაში, რომელთათვისაც არ არსებობს კოტირებული საბაზრო ფასები. ამას მნიშვნელოვანი გავლენა ექნებოდა ჯგუფის მიერ წარმოდგენილ წმინდა მოგებაზე.

### სადაზღვევო კონტრაქტების რეზერვები

სადაზღვევო კონტრაქტების რეზერვების შესაქმნელად საჭიროა შეფასებების გაკეთება როგორც წარდგენილი მაგრამ ჯერ არ დაფარული მოთხოვნების (“RBNS”) მოსალოდნელი საბოლოო ხარჯის განსაზღვრისას, ასევე გაწეული მაგრამ ჯერ არ წარდგენილი მოთხოვნების (“IBNR”) მოსალოდნელი საბოლოო ხარჯის შესაფასებლად. მოთხოვნების საბოლოო ხარჯის სარწმუნო შეფასებას შეიძლება საკმაოდ დიდი დრო დასჭირდეს, და გარკვეული ტიპის პოლისებისთვის “IBNR” წარმოადგენს საბალანსო ვალდებულების უდიდეს ნაწილს.

## ჯგუფი საქართველოს სახალხო ბანკი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები  
2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათასობით ქართულ ლარში)

### 3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა (გაგრძელება)

ჯგუფის მიერ გამოყენებული ტექნიკების არსი მდგომარეობს იმაში, რომ ჯგუფი იყენებს წარსულ გამოცდილებას მოთხოვნებთან დაკავშირებით, რათა დაადგინოს მომავალი მოთხოვნები და შესაბამისად ხარჯიც. ეს ტექნიკები ახდენს გადახდილი და დამდგარი ხარჯის განვითარების, თითო მოთხოვნაზე საშუალო ხარჯის და მოთხოვნების რაოდენობის ექსტრაპოლაციას წარსულის გამოცდილებასა და მოსალოდნელ ხარჯის კოეფიციენტზე დაყრდნობით. არსებითი მოთხოვნების ანალიზი ჩვეულებისამებრ ინდივიდუალურად ხდება ანდანაკარგების კორექტირების თანხის დარეზერვებით ან ცალკე მომავალი განვითარების პროგნოზის საფუძველზე. ძირითად შემთხვევებში, არ ხდება ცალკეული ვარაუდის გამოთქმა მოთხოვნების მომავალ ინტენსიობაზე. ამის მაგივრად, ხდება ისტორიული მონაცემების გამოყენება, თუმცა დამატებითი დასკვნა საჭირო იმის თაობაზე, თუ რა ხარისხით უნდა მიენიჭოს ისტორიულ მონაცემებს მნიშვნელობა, გაურკვეველი გარემოებების გათვალისწინებით.

დამატებითი განსჯა საჭირო გადამზღვევებებიდან თანხის დაბრუნების თაობაზე. საექვო ვალების რეზერვი ძირითადად იქმნება გადამზღვეველთა გადახდისუნარიანობაზე, ასევე გადახდის ისტორიასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით.

სადაზღვეო კონტრაქტების მოთხოვნების რეზერვის საბალანსო ღირებულება 2008 და 2007 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა შესაბამისად 2,566 ათას და 459 ათას ლარს.

#### ძირითადი საშუალებები

გარკვეული სახის ძირითადი საშუალებები (მიწა და შენობები) გადაფასებული ღირებულებით აღირიცხება. უკანასკნელი გადაფასების თარიღი იყო 2008 წლის 31 დეკემბერი. შემდეგი გადაფასება იგეგმება 2009 წლის 31 დეკემბრის თარიღით. სხვა ძირითადი საშუალებები აისახება ისტორიული ღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და აღიარებული გაუფასურების დანაკარგის გამოკლებით. ძირითადი საშუალების სასარგებლო მოხმარების პერიოდის განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის მიერ მსგავს აქტივებთან წარსული გამოცდილების საფუძველზე. სასარგებლო მოხმარების ვადის დადგენა ითვალისწინებს აქტივის მოსალოდნელი მოხმარების დონის, ტექნიკურად მოძველების, ცვეთისა და აქტივის ფიზიკური გარემოს განსაზღვრას. ამ გარემოთა ცვლილებამ შესაძლოა გამოიწვიოს მომავალი ცვეთის ნორმის შეცვლა.

#### ფინანსური აღრიცხვის ახალი და შესწორებული საერთაშორისო სტანდარტების მიღება

მიმდინარე წელს ჯგუფმა მიიღო ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოსა და ფინანსური აღრიცხვის ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის მიერ ახალი და შესწორებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც შეესაბამება მის ოპერაციებს და ძალაშია 2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ახალი და შესწორებული სტანდარტების მიღებას არ გამოუწვევია ჯგუფის საბუღალტრო პოლიტიკის ისეთი მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელიც გავლენას იქონიებდა მიმდინარე და წინა წლებში წარდგენილ თანხებზე.

## ჯგუფი საქართველოს სახალხო ბანკი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები  
2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათასობით ქართულ ლარში)

### 3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა (გაგრძელება)

ბასს 1 “კაპიტალის წარდგენის” ცვლილებები - 2005 წლის 18 აგვისტოს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (ბასს) გამოსცა ბასს 1-ის ცვლილებები, რომლებიც მოითხოვს გარკვეული განმარტებების გაკეთებას საწარმოს მიზნებთან, პოლიტიკასთან და კაპიტალის მართვის პროცესთან დაკავშირებით.

ბასს 39-ის “ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება” და ფასს 7 „ფინანსური ინსტრუმენტები: წარმოდგენა”, სახელწოდებით „ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაცია” – 2008 წლის 13 ოქტომბერს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოსცა ბასს 39-ის და ფასს 7-ის შესწორებები, რომლებიც არადერივარტული ფინანსური აქტივების სამართლიანი ღირებულებიდან მოგებისა და ზარალის კატეგორიაში რეკლასიფიკაციის ნებას იძლევიან (გარდა მოგებისა და ზარალის უწყისში სამართლიანი ღირებულებით ასახულისა, თავდაპირველი აღიარებისას სამართლიანი ღირებულების ოფციის შესაბამისად) და საშუალებას იძლევა გარკვეულ გარემოებებში განხორციელდეს ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაცია გასაყიდად არსებულთა კატეგორიიდან სესხებსა და მოთხოვნებში. ფასს 7-ის შესწორებას შემოაქვს დამატებითი წარმოდგენის მოთხოვნა, თუ საწარმომ ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაცია ბასს 39-ის შესაბამისად მოახდინა. შესწორებები ძალაშია 2008 წლის 13 ოქტომბრიდან და გარკვეულ გარემოებებში შეიძლება გათვალისწინებულ იქნას 2008 წლის 1 ივლისიდან.

#### საბუღალტრო პოლიტიკის მომავალი ცვლილებები

##### გამოცემული და ჯერ არ მიღებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები

ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცების თარიღისათვის, გარდა ჯგუფის მიერ მიღებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციებისა, შემდეგი ინტერპრეტაციები იქნა გამოცემული, თუმცა არ იყო ძალაში.

##### ფასს-ის შესწორებები

2008 წლის მაისში ბასსს-მ გამოსცა შესწორებები ფასს-ში. ეს ცვლილებები ეხება საბუღალტრო ცვლილებებს პრეზენტაციის, აღიარებისა და გაზომვის თვალსაზრისით, ასევე ტერმინოლოგიის კუთხით. ამ ცვლილებების ძირითადი ნაწილი ძალაში შედის 2009 წლის 1 იანვრიდან, ან სხვა თარიღიდან ერთწლიანი პერიოდისთვის, თუმცა ასევე დასაშვებია წინა პერიოდებისთვისაც. ამჟამად ჯგუფი განსაზღვრავს ცვლილებების მოსალოდნელ შედეგს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

##### ბას 1 ფინანსური უწყისების წარდგენა (შეცვლილი)

ბას 1-ის შესწორებული ვერიანტი გამოიცა 2007 წლის სექტემბერში და ძალაშია 2009 წლის 1 იანვრით ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ეს შეცვლილი სტანდარტი მიჯნავს მფლობელებთან დაკავშირებული და სხვა კაპიტალის ცვლილებებს. კაპიტალის ცვლილების უწყისი მხოლოდ აჩვენებს მფლობელებთან გარიგებებს, ხოლო სხვა დანარჩენი ცვლილებები ცალკე იქნება წარმოდგენილი. სტანდარტს ასევე შემოაქვს ცვლილებები ერთობლივი შემოსავლების ანგარიშში: აღიარებული შემოსავლებისა და ხარჯების პუნქტები შესაძლოა წარმოდგენილი იქნას ან ერთ ან ორ ერთმანეთთან დაკავშირებულ უწყისში. ჯგუფი მსჯელობს იმაზე, თუ რომელ მეთოდს გამოიყენებს.



## ჯგუფი საქართველოს სახალხო ბანკი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები  
2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათასობით ქართულ ლარში)

### 3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა (გაბრძელება)

**ბას 39** ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და გაზომვა – დაქვემდებარებული ჰეჯირების პუნქტები

ბას 39-ის შესწორება გამოიცა 2008 წლის აგვისტოში და ძალაშია 2009 წლის 1 იანვრით ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. შესწორება ეხება ჰეჯირების პუნქტის ცალმხრივ რისკსა და ინფლაციას, როგორც ჰეჯირების რისკს ან მის ნაწილს გარკვეულ სიტუაციებში. სტანდარტის მიხედვით, კომპანიას შეუძლია განსაძღვროს ფინანსური ინსტრუმენტის ფულადი ნაკადების ცვლადის ან სამართლიანი ღირებულების ცვლილების წილი. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ სტანდარტის ეს ცვლილება არ მოახდენს გავლენას ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე, რადგან მას არ გააჩნია ჰეჯირების მსგავსი ინსტრუმენტები.

**ბას 7** – ცვლილებები ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში ხაზს უსვამს იმას, რომ მხოლოდ ისეთი დანახარჯების კლასიფიცირება შეიძლება საინვესტიციო საქმიანობაში, რომლებიც ბალანსში აქტივის აღიარებას უწყობს ხელს (ძალაშია 2010 წლის 1 იანვრით ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

2007 წლის მარტში ბასს-მ გამოსცა შეცვლილი **ბას 23** „სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები“. მთავარი ცვლილება მდგომარეობს საკრედიტო ხარჯების დაუყოვნებლივ აღიარების არჩევნის ამოღებაში, როგორც სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯებთან დაკავშირებული ხარჯებისა, რომლებიც ეხება აქტივებს, რომელთა გაყიდვას, ან გამოყენებას სჭირდება არსებითი დრო. საწარმო ვალდებულია მოახდინოს სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზაცია და შესაბამისი აქტივების ღირებულების ნაწილად აღიარება. სტანდარტი ეხება კვალიფიცირებად აქტივებთან დაკავშირებულ სესხით სარგებლობის დანახარჯებს, რომელთა კაპიტალიზაციის დაწყების თარიღად დადგენილია 2009 წლის 1 იანვარი.

**ბას 27** – 2008 წელს სტანდარტი შეიცვალა, როგორც საწარმოთა გაერთიანების პროექტის მეორე ნაწილი. პროექტის ეს ფაზა ერთობლივად განხორციელდა აშშ ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების საბჭოსთან ერთად. ცვლილება პირდაპირ უკავშირდებოდა არაკონტროლირებად წილს და შეიღობილ კომპანიაში კონტროლის დაკარგვის ანგარიშგებას. პროექტის მეორე ფაზის დასასრულს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოსცა შეცვლილი ბას 27-ი, ხოლო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების საბჭომ - ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების საბჭოს უწყება № 160 „არაკონტროლირებადი წილი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში“ შეცვლილი ფასს 3-ის საწარმოთა გაერთიანებისა და ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების საბჭოს უწყება №141 (შეიცვალა 2007 წ.) „საწარმოთა გაერთიანება“-ს პარალელურად. შეცვლილი სტანდარტი გამოყენებულ უნდა იქნას 2009 წლის 1 ივლისით დაწყებული პერიოდისათვის. ასევე ნებადართულია ადრე გამოყენებაც. თუმცა საწარმომ 2009 წლის 1 ივლისამდე არ უნდა გამოიყენოს შესწორებები თუ ასევე არ იყენებს ფასს 3-ს. (შეიცვალა 2008 წელს).

**ბას 28** (შეცვლილი 2008 წელს) “ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში” – ბას 28 (2008) ძალაშია 2009 წლის 1 ივლისით ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. კონტროლის დაკარგვა კლასიფიცირდება როგორც გაყიდვა-გადაცემა და ნებისმიერი შენარჩუნებული წილის თავიდან შექმნა სამართლიანი ღირებულებით განისაზღვრება ბასს 28-ის შემდგომი ცვლილებით; როდესაც მნიშვნელოვანი გავლენა იკარგება, ინვესტორი ყოფილ მეკავშირე საწარმოში შენარჩუნებულ ინვესტიციას სამართლიანი ღირებულებით ასახავს, ხოლო ამის შედეგად წარმოშობილი სარგებელი თუ ზარალი მოგება-ზარალის ანგარიშში აღიარდება.

## ჯგუფი საქართველოს სახალხო ბანკი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები  
2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათასობით ქართულ ლარში)

### 3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა (გაგრძელება)

**იმე 9** - “ჩართული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების გადამოწმება”, რომელიც ითვალისწინებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტში არ შევიდა ცვლილებები ჩართული ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი კონტრაქტიდან გამოყოფა არ საჭიროებს შეფასებას. იმე 9-ის მიღებას გავლენა არ ჰქონია ჯგუფის მოგება-ზარალზე, ან ფინანსურ მდგომარეობაზე.

**იმე 13** - “მომხმარებელთა ლოიალურობის პროგრამები” გამოიცა 2007 წლის ივნისში, ძალაში შესვლის თარიღია 2008 წლის 1 ივლისი. ეს ინტერპრეტაცია გულისხმობს, რომ მომხმარებელთა ლოიალურობისთვის გაცემული კრედიტების აღიარება უნდა მოხდეს გაყიდვების ტრანზაქციის ცალკეულ კომპონენტად და ამასთან, მიღებული თანხის ნაწილის სამართლიანი ღირებულება უნდა განაწილდეს კრედიტებზე და გადავადებულ იქნას კრედიტების შესრულების ვადის მიხედვით. ჯგუფის აზრით, ამგვარი ინტერპრეტაცია ვერ იქონიებს გავლენას ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე, რადგან ასეთი სახის სქემა ჯერჯერობით ჯგუფში არ არსებობს.

**ფასს 2** - „წილობრივი მონაწილეობის მიხედვით გადახდები” – უფლების მიცემის პირობები და უფლების გაუქმება - ცვლილებები შევიდა 2008 წლის იანვარში და ძალაში შედის 2009 წლის 1 იანვრიდან. ეს შესწორება ხაზს უსვამს უფლების მიცემის პირობებს და საბუღალტრო მიდგომას უფლების მიცემის პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში ეფექტურად ანულირებული ანაზრაურების მიმართ. ეს ინტერპრეტაცია ჯგუფის ფინანსურ პოზიციასა თუ მოგება-ზარალზე გავლენას არ იქონიებს.

**ფასს 3** - „საწარმოთა გაერთიანება”. 2008 წლის 10 იანვარს, ბასსს-მ გამოსცა ბას 3 „საწარმოთა გაერთიანება“-ის ცვლილება, რომელიც არკვევს და ცვლის საწარმოთა გაერთიანების ბუღალტრული აღრიცხვის გარკვეულ ელემენტებს, მათ შორის პირობითი გადახდების აღრიცხვას, საფეხურეობრივ შესყიდვას და არამატერიალურ აქტივებს და ასევე ამ სტანდარტის მოცულობას. ფასს 3-ის შესწორება ძალაშია 2009 წლის 1 იანვრიდან.

**ფასს 5** - “გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები” – ფასს-ის 2009 წლის ცვლილებების ნაწილი – შენიშვნების გაკეთების აუცილებლობა სტანდარტებში, გარდა ფასს 5-ისა ზოგადად არ ეხება გასაყიდად გამიზნულ გრძელვადიან აქტივებსა და შეწყვეტილ ოპერაციებს (ძალაში შედის 2010 წლის 1 იანვრიდან).

**ფასს 7** - 2009 წლის მარტში გამოიცა “ფინანსური ინსტრუმენტების გაუმჯობესებული შენიშვნები” (ფასს 7-ის შესწორება). ეს შესწორება მოითხოვს დეტალურ შენიშვნებს სამართლიანი ღირებულებით გაზომვასა და ლიკვიდურობის რისკზე. ცვლილება ძალაში შედის 2009 წლის 1 იანვრიდან, წინა პერიოდებში გამოყენებაც დასაშვებია.

**ფასს 8** - 2006 წლის დეკემბერში ბასსს-მ გამოსცა ფასს 8 „საოპერაციო სეგმენტი”. იგი ჩაენაცვლება ბას 14 „სეგმენტის ანგარიშგება” 2009 წლის 1 იანვრიდან დაწყებული ანგარიშგების პერიოდისათვის. ფასს 8 მოითხოვს საწარმოს მიერ სეგმენტური ანალიზის ანგარიშგებას ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. ხელმძღვანელობა ამჟამად აფასებს ფასს 8-ის მიღების გავლენას.

## ჯგუფი საქართველოს სახალხო ბანკი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები  
2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათასობით ქართულ ლარში)

---

### 4. წინა პერიოდის შესწორებები და რეკლასიფიკაციები

2008 წელს ჯგუფის ხელმძღვანელობამ აღმოაჩინა შეცდომები 2007 და 2006 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. ბასს 8-ის შესაბამისად „ბუღალტრული პოლიტიკა, ცვლილებები ბუღალტრულ დაშვებებში და შეცდომები“, შეცდომები შესწორდა რესტროსპექტიულად. შედარებითი თანხები შესწორდა და დაკორექტირდა წინა პერიოდში წარმოდგენილი მონაცემები. ძირითადი საშუალებები შესწორდა არაკონსოლიდირებული შვილობილი საწარმოს შპს რუსთავის ცენტრალური სალაროს დადგენისას, რომელიც ბანკმა 2004 წელს შეიძინა და არ აღურიცხავს როგორც შვილობილი კომპანია. გადავადებული საგადასახადო ვალდებულების შესწორება და მიწისა და შენობების გადაფასების რეხერვის შესწორება გამოწვეულია ამ შვილობილი კომპანიის კონსოლიდაციითა და მოგების გადასახადის განაკვეთის ცვლილების გათვალისწინებით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების კორექტირებების გავლენა 2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ქვემოთ:

## ჯგუფი საქართველოს სახალხო ბანკი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები  
2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათასობით ქართულ ლარში)

### 4. წინა პერიოდის შესწორებები და რეკლასიფიკაციები (ბაზრელება)

შესწორების ტიპი	კორექტირების თანხა	ფინანსური ანგარიშგების მუხლი	2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილი გასწორებამდე	2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილი გასწორებული
შპს რუსთავის ცენტრალური სალაროს მიწისა და შენობების აღრიცხვა	219	ძირითადი საშუალებები	93,298	93,517
შპს რუსთავის ცენტრალური სალაროს მიწისა და შენობების აღრიცხვით გამოწვეული გადავადებული მადანახადისოგების გ ვალდებულება	(33)	გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები	(8,807)	(8,840)
შპს რუსთავის ცენტრალური სალაროს მიწისა და შენობების გადაფასების რეზერვი	(190)	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	(36,556)	(36,746)
შპს რუსთავის ცენტრალური სალაროს შენობების ცვეთით გამოწვეული დაგროვილი ხარაღის შესწორება	4	დაგროვილი ხარაღი	369	373
შპს რუსთავის ცენტრალური სალაროს კონსოლიდაციით წარმოქმნილი დაგროვილი ხარაღი შესწორება	(4)	დაგროვილი ხარაღი	373	369
შპს რუსთავის ცენტრალური სალაროს კონსოლიდაციით გამოცვეული სხვა აქტივების შესწორება	(4)	სხვა აქტივები	21,421	21,417
